დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **ნინო შიუკაშვილი** (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;)

წევრები:
ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი
ნინო აბესაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო თამარაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ხუროშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)."

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576048

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩხუტელი
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1429
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chkhuteli@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595434390

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 2 აპრილის MES 6 26 0000394124 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	6-7 მაისი , 2026წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ჩხუტელი-1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ჩხუტელი-1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი,სოფელი ჩხუტელი-1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის , 2 აპრილის , ბრძანება № MES 6 26 0000394124-ის საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი ***სსიპ - ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლაში.***

ავტორიზაციის დებულების (მე-20 მუხლის) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტების ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლის სკოლის მატერიალური რესურსიც.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ დისტანციურად გასაუბრებოდნენ პედაგოგებს საგნობრივი კათედრების მიხედვით და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო მოთხოვნილი მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, ვიზიტის დასასრულს კი წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის .

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლა მეგობრული, ტოლერანტული და უსაფრთხო გარემოა, რაც სკოლაში შესვლის პირველივე წუთებიდან რძნობოდა. სკოლა გამოირჩევა თანამშრომლობის მაღალი კულტურით. მისი ყველაზე ძლიერი მხარე განვითარებისაკენ მუდმივი ზრუნვაა, რაც ძირითადად მასწავლებელთა კორპუსის პროფესიული განვითრებითა და სიახლეების დანერგვით გამოიხატება. სკოლაში სულ 23 მოსწავლე სწავლობს. ამიტომ პრიორიტეტად მიიჩნევს, კონკურენცია გაუწიოს მონიციპალიტის სხვა ახლომდებარე სკოლებს , შეინარჩუნოს არსებული და მოიზიდოს ბევრი მოსწავლე. სკოლის დირექტორი გამოირჩევა კარგი მენეჯერული უნარებით, სწორი მენეჯმენტის საფუძველზე , მან შეძლო, საკუთრი სახსრებით სკოლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ასევე თემში მრავალშვილიანი ოჯახების წევრების სკოლაში მოზიდვა , რამაც განაპირობა მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა. შესაბამისად , პედაგოგების მოტივაციაც ამაღლდა და მეტი ენთუზიაზმით არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში. ხაზგასასმელია, რომ მუნიციპალიტეტის ახლომდებარე სოფლებს შორის , ყველაზე მეტი მოსწავლე სწორედ ამ სკოლას ჰყავს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
№3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	სკოლამ უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ყველასთვის ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის მაისი_2027 წლის მაისი).
№3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული საპირფარეშოების, შესასვლელი პანდუსისა და სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსების დამონტაჟება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2026 წლის მაისი_2027 წლის მაისი).
		.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*

ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **სასურველია**, საზოგადოებრი მეცნიერებების <u>**სამივე საფეხურის**</u> პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, <u>**სამივე საფეხურზე**</u> მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში ჩაწერონ : რა უნდა შექმნას მოსწავლემ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას და რა საკითხზე). (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში **სახელმწიფო ენა** • საკითხთა კლასტერი ქართულის კურიკულუმში საჭირო არაა, გრაფას საკმარისია ერქვას საკითხი; **სასურველია,**ზოგიერთი კლასის კურიკულუმში გასწორდეს საკითხის, ტექსტები/კონტექსტმაგალითებისა და დავალების იდეის გრაფებში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ, ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში ჩაიწეროს თემაში დასამუშავებელი ძირითადი და დამატებითი ტექსტები თუ სხვა დამხმარე რესურსი, რასაც მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის ცნებებზე მუშაობისთვის -ვიდეო, დამხმარე ლიტერატურა, ილუსტრაცია და ა.შ. (რესურსების გრაფაში კი, სახელმძღვანელოსთან ერთად, მიეთითება, სად იძებნება ეს მასალა: ბმული, წიგნის /ალბომის სათაური და ა.შ.); საკითხის გრაფაში — შემოქმედებითი დავალების დასახელება (მაგ. წერილი პერსონაჟს, ანალიტიკური/არგუმენტირებული ესეს დაწერა, პრეზენტაციის მომზადება ამა და ამ საკითხზე...); რაც შეეხება დავალების იდეას, ამ გრაფაში ვწერთ მხოლოდ დავალების პირობას ზუსტად ისე, როგორც ვეუბნებით მოსწავლეს (მაგ. ამა და ამ ტექსტზე დაყრდნობით დაწერეთ ესა და ეს, მოამზადეთ პრეზენტაცია ამა და ამ საკითხზე ამა და ამ მასალის მიხედვით და ა.შ.). • ზეპირი მსჯელობა ვერ ჩაითვლება შემოქმედებით დავალებად, რადგან იგი რიგითი აქტივობა და თითქმის ყველა გაკვეთილის თანმხლები პროცესია; ერთ-ერთი კლასის ნაბიჯებად გაწერილ შემოქმედებითი დავალების პირობა ბუნდოვანია (წარმოიდგინეთ ის გარემო,რომელშიც გიწევთ ცხოვრება და მიზნად

		გაქვს დასახული ამგარემოს გაცნობა საზოგადოებისათვის .საჯაროდ აქვეყნე ბენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს , თუ რატომ არის ის ადგილი განსაკუთრებული და საყვარელი , სადაც ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. სწორედ იმ გარემოზეა საუბარი სხვადასხვა ლექსებსა თუ მოთხრობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ). ნაბიჯებიც არაა მთლად შესაბამისი, გაუგებარია, რის გარკვევას ეძღვნება საკვანძო შეკითხვები, დავალების განხორციელების პროცესში როგორ შემოდის აფხაზეთის თემა და ა.შ. • **სასურველია**, კათედრამ სამომავლოდ დახვეწოს, მკაფიო და გასაგები გახადოს მოსწავლისთვის შემოქმედებითი დავალების პირობა და შემოსაზღვროს თემატიკა: ერთ დავალებაში ყველაფერზე ვერ იმუშავებს კლასი **ესთეტკური აღზრდა** **რჩევა:** სასურველია, მუსიკასა და ხელოვნებაში <u>**სამივე საფეხურის**</u> პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა :** სასურველია საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის პედაგოგები <u>**სამივე საფეხურზე**</u> შეთანხმდენ კურიკულუმის ერთნაირ ჩარჩოზე **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა :** სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა, პირობა. რესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი. **სასურველია,** რიგ კურიკულუმში გასწორდეს საკითხის, ტექსტები/კონტექსტმაგალითებისა და დავალების იდეის გრაფებში მოცემული ინფორმაცია. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, ყველა საგანში მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები.

ინდიკატორი N.2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა**: სასურველია, **<u>სამივე საფეხურზე</u>** დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში. **უცხო ენა** **რჩევა:**კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული. **ესთეტიკური აღზრდა** **რჩევა :** ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია **<u>დაწყებითი საფეხურის</u>** I-IV კლასის პედაგოგებმა ითანამშრომლონ V-VI კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან ბუნებისმეტყველების კულუკულუმების შედგენისას და გაიზიარონ მათი გამოცდილება ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, ოთხივე საგანში დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით.
ინდიკატორი N.2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** ***რჩევა:*** სასურველია,**<u>სამივე საფეხურის</u>** კურიკულუმებში ელექტრონულ რესურსებს სახელწოდებებიც ეწეროს . **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა
ინდიკატორი N.2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და	**ესთეტიკური მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია **<u>სამივე საფეხურის</u>** კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ

	ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში)
ინდიკატორი N.2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით **ესთეტიკური მეცნიერებები** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა **თითოეული თემის** ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით **სახელმწიფო ენა** **რჩევა:** სასურველია ,კათედრამ <u>**სამივე საფეხურზე**</u> მეტად დახვეწოს დაგეგმილ შემოქმედებით დავალებებში პირობები და შეფასების კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების რუბრიკების მკაფიოდ და ადეკვატურად ჩამოყალიბებებას **ტექნოლოგიები** **რჩევა** :ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს ციფრული პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა (მაგალითად, OneDrive-ის ან Sway-ს ბაზაზე). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, თავადვე მოახდინონ საკუთარი პროგრესის ვიზუალიზაცია და დინამიკაში დაინახონ საკუთარი განვითარება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურობას **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა-** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას

		გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
ინდიკატორი N.2.2.1.1.	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	**ტექნოლოგიები** **რჩევა :**მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებს ამჟამად ასწავლის მათემატიკის პედაგოგი. მიუხედავად მისი ძალისხმევისა, მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების მიმართულებით სერტიფიცირებული კადრის მოზიდვაზე ან არსებული კადრების მიზნობრივ გადამზადებაზე. კვალიფიციური სპეციალისტის მუდმივი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მდგრადობისა და მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების მაღალ დონეზე განვითარებისთვის.
ინდიკატორი N.2.2.1.3.	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** **რჩევა:** სასურველია <u>,სამივე საფეხურზე</u> კონკრეტული თემისთვის მომზადდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები .

ინდიკატორი N.2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური*** ***რჩევა*** *- სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები;* *ელ.ბმულები*
ინდიკატორი N.2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	**ტექნოლოგიები** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე). ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** **რჩევა:** სასურველია, სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დანართები წერილების სახით , ასევე წარმოუდგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
*დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის არგუმენტირებული პოზიციას და შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულები და არგუმენტები სრულიად იქნა გაზიარებული , შესაბამისი ინდიკატორები საბოლოო დასკვნაში, შეფასებულია როგორც **„შეესაბამება“** და **„მეტწილად შეესაბამება“**.*

III სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც“ შეესაბამება”

ინდიკატორი N 3.1.2.3
პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის 12 თანამშრომელს პირად საქმეში არ ჰქონდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები..

სკოლამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა 12 -ვე თანამშრომლის ნასამართლეობის ცნობა , ასევე 2020 წლის მერე მიღებული ორი თანამშრომლის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები..

*ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **N 3.1.2.3** ექსპერტთა მიერ დასკვნაში შეფასდა როგორც **შეესაბამება.***

III სტანდარტების ინდიკატორები, რომლებიც სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმისგათვალისწინებით, დასკვნის ფარგლებში შეფასდა როგორც“ მეტწილ შეესაბამება”

სკოლამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა

ინდიკატორი №3.5.1.2

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

*სკოლამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმა., რომელშიც ინდიკატორის #3.5.1.2 შესამაბისობის უზრუნველსაყოფად გაწერილი აქვს ვადები **2026 წლის მაისი_ 2027 წლის მაისი.***

*იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა უკვე დაწყებული აქვს პროცესი ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად და მტკიცებულებების სახით ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა რესურსცენტრსა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში გაგზავნილი წერილები (წერილი N MES 3 26 0000207993) დაფინანსების მოთხოვნით . ასევე სკოლას მომზადებული და შეთანხმებული აქვს ხარჯთაღრიცხვა პანდუსების დამონტაჟების სამუშაოების დასაწყებად და ვიზიტის პერიოდში დაწყებული ჰქონდა ბაზრის კვლევა **(წერილი NMES 7 26 0000209995 პანდუსის მოწყობის ხარჯთაღრიცხვისთვის საჭირო ბაზრის კვლევის თაობაზე).***

*ექსპერტები იზიარებენ სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით , **ინდიკატორი №3.5.1.2 დასკვნაშიც შეფასებულია , როგორც მეტწილად შესაბამისი.***

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ყველასთვის ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით (2026 წლის მაისი _ 2027წლის მაისი) .

ინდკატორი №3.5.1.4.
სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

*სკოლამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან და შესაბამისობის გეგმა., რომელშიც ინდიკატორის #3.5.1.4 შესამაბისობის უზრუნველსაყოფად გაწერილი აქვს ვადები **2026 წლის მაისი_ 2027 წლის მაისი.***

*იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა უკვე დაწყებული აქვს პროცესი ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად და მტკიცებულებების სახით ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა(წერილი N MES 3 26 0000207993 ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შესახებ) , რომელიც შეთანხმებულია შესაბამის სტრუქტურასთან , რის შემდეგაც ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელდება ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობითი სამუშაოები. ასევე სკოლას მომზადებული და შეთანხმებული აქვს ხარჯთაღრიცხვა პანდუსების დამონტაჟების სამუშაოების დასაწყებად და ვიზიტის პერიოდში დაწყებული ჰქონდა ბაზრის კვლევა **(წერილი NMES 7 26 0000209995 პანდუსის მოწყობის ხარჯთაღრიცხვისთვის საჭირო ბაზრის კვლევის თაობაზე).***

*ექსპერტები იზიარებენ სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით , **ინდიკატორი 3.5.1.4 დასკვნაშიც შეფასებულია , როგორც მეტწილად შესაბამისი***

*რეკომენდაცია: **სკოლამ უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული საპირფარეშოების, შესასვლელი პანდუსისა და სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსების დამონტაჟება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში (2026 წლის მაისი _ 2027წლის მაისი) .***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
სკოლის მისიაა:

- შექმნას თითოეული მოსწავლისთვის ჯანსაღი, უსაფრთხო, მამოტივირებელი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო;
- აღზარდოს წიგნიერი, კულტურულად მოაზროვნე, თავისუფალი, დამოუკიდებელი, წარმატებული პიროვნება , რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას ;
- ჩამოუყალობოს მათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დაეხმაროს ოჯახის ,საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში;

.

სკოლის ხედვაა: ტრადიციული და ინოვაციური სწავლების მეთოდებით ,თანამედროვე მიდგომებითა და სტრატეგიებით შეძლოს 21-ე საუკუნის კომპეტენციებით აღჭურვოს მოსწავლეთა კონტიგენტი.

სკოლის ღირებულება კი განსაზღვრულია შემდეგნაირად:
სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- გამჭირვალობა;
- მიუკერძოებლობა;
- თანამშრომლობა;
- ობიექტურობა;
- განვითარება და ინოვაციურობა

დასახული ხედვისა და მიზნების მისაღწევი გეგმა სკოლას გაწერილი აქვს შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში სტრატეგიული გეგმებისა და ამოცანების სახით.
აღნიშნული დადასტურდა სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის დოკუმენტის შესწავლითა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიაში , ხედვისა და ღირებულებებში პრიორიტეტად გამოყოფს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და უსაფრთხო, პოლერანტულ, პოზიტიურ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში. ასევე პრიორიტეტად მიიჩნევს არაფორმალური განათლების განვითარებას.
მისიისა და ხედვის თანახმად, სკოლა ქმნის ყველა პირობას, სადაც დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს გააზრებული აქვს , რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია ჯანსაღი თანამშრომლობა და კომუნიკაცია.
შესაბამისად, სკოლა მისიისა და ხედვის შინაარსით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და სოციო-კულტურულ სივრცეს, რომელიც ქმნის პირობებს პიროვნული განვითარებისთვის.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

ექსპერტების მიერ სკოლის წარმომადგენლებთას საუბრისას გაირკვა, რომ სკოლას მისიის, ხედვისა და ღირებულებებიას ჩამოყალიბების პროცესში ხელმძღვანელობდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით(ბრძანება N 14-2 (28.08.2025)), რომელშიც გაწერილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მექანიზმები სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით.
აღნიშნულ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყო დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულმა სამუშაო ჯგუფმა , რომელიც ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში შეეცადა, მაქსიმალურად მოეცვა მთელი სასკოლო საზოგადოება . ფილოსოფიის პროექტი წარგენილი იქნა პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე, ასევე დამრიგებლების მიერ გაზიარებულ იქნა სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში და სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და შეფასების ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბეს სკოლის მისიია, ხედვა და ღირებულებები.
სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა შესაბამისი ოქმები(პედ.საბჭოს ოქმი #5 , სამეურვეო საბჭოს ოქმი # 7 ,) ასევე ფოტომასალა) .
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან დასტურდება, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტების შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ.ფილოსოფიის დოკუმენტის საბოლოო ვერსია დამტკიცებამდე სკოლის მიერ წარდგენილი იქნა პედსაბჭოზე , ასევე გამოქვეყნებულ იქნა სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო საზოგადოების გაზიარების პროცესი სკოლამ უზრუნველყო მისი შემუშავების ეტაპზე საბოლოო სახით ფორმულირებამდე და გასაჯაროებამდე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. გამოკრულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე გაზიარებულია სკოლის Facebook - გვერდსა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: **სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლა.**

შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;(ბრძანება N 14-2 (28.08.2025))
3. სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება(ბრძანება N 14 29.08.2025);
4. 2025-2032 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
5. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. სამუშაო ჯგუფის ოქმი/ოქმები;
7. პედაგოგიური საბჭოს ოქმი#5;
8. სამეურვეო საბჭოს ოქმი#7 ;

9. სკოლის ვებ-გვერდი
10. ფოტომასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის სკოლის დირექტორის ბრძანებით(28/08/2025 ბრძანება MES 0 25 0000062118) შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უნდა უზრუნველყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 14-2 (28.08.2025), როგორც ერთი მთლიანი დოკუმენტი, რომლიც ფარავს როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავება/გაზიარება/გასაჯაროების , ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება/მონიტორინგი/შეფასების მექნიზმებს . ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით გაწერილია სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა.
ექსპერტების მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ფილოსოფიისა შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის შესაბამისად გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მე-4 და მე-5 თავებში მკაფიოდაა გაწრილი დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები და პროცესთან დაკავშირებული მიდგომები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული დოკუმენტი ,, სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2032 „(დირექტორის ბრძანება N 16 /15.09.2025/), რომელიც მოიცავს 2025-2032 წლებს. სტრატეგიულ დაგეგმარებასთან დაკავშირებული პროცესები მოიცავს: თანამონაწილეობას, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ხოლო სტრატეგიულ მიზნებად განსაზღვრულია:

1. **სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის, პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდი განვითარება.**
2. **სწავლა-სწავლების შედე;გობრივი ხარისხის ამაღლება.**
3. **მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;**
4. **სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა.**
5. **სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;**
6. **უსაფრთხო,ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;**

თითოეული სტრატეგიული მიზანი კი თავის მხრივ დაყოფილია ამოცანებად და გაწერილია შესრულების ვადები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ექსპერტების მიერ მისი შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა , რომ იგი გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და თანხვედრაშია სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებთან. გეგმა მოიცავს წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების შინაარსს. კერძოდ, სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის, პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდი განვითარება; სწავლა-სწავლების შედე;გობრივი ხარისხის ამაღლება; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; უსაფრთხო,ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; თითოეულის შესასრულებლად დასახული აქვს ამოცანები და გაწერილი აქვს შესაბამისი აქტივობები, რესუსები , შესრულების ვადები, ინდიკატორები და პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია 2024-2025 სასწავლო წლის სტრატეგიული მიზნები, მათი მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. ასევე შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები და შესრულების ინდიკატორები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (ბრძანება N 14-2 (28.08.2025));
2. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება **N2-100 18/12/2025**
3. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (MES 0 25 0000062118 ბრძანება N 14 29.08.2025)
4. 2025-2032 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
5. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 წლის 15 სექტემრის N 17 ბრძანება;
7. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა(ბრძანება N 16 /15.09.2025/);
8. სკოლის ვებგვერდი.
9. პედსაბჭოს ოქმი # 5
10. სამეურვეო საბჭოის ოქმი#7

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე -12 თავი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და მექანიზმებს. თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“.

ამ ეტაპისთვის სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება(დოკუმენტში მითითებული ვადა ივნისშია) , თუმცა გააზრებული აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა და მათზე დაყრდნობით განვითარების გეგმაში შესატანის ცვლილებების საჭიროების აუცილებლობა.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმატების მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის მონიტორინგს სკოლა ახორციელებს წელიწადში ორჯერ იანვარსა და ივნისში. ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა კითხვარები, ხარისხის ჯგუფისა და დირექტორის ანგარიში სამოქმედო გეგმის შესრულებასთან მიმართებაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით დასტურდება , სამოქმედო გეგმის შესრულებისა და დირექტორის ანგარიში, სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით , ატვირტულია სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებში.სკოლამ ამით უზრუნველყო საჯაროობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის დირექტორთან და სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებისას დადგინდა , რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური შეფასება მათ ეხმარება განსაზღვრონ თუ რა მიმართულებით აქვთ მეტი სამუშაო. წლის ბოლოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასების ანალიზის გათვალისწინებით კი უფრო ეფექტურად შეადგენენ მომავალი წლის გეგმებს .
SWOT ანალიზს სკოლა გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი (ბრძანება N 14-2 (28.08.2025));
2. კითხვარები;

3. 2025-2032 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
4. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
5. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება **N2-100 18/12/2025**
6. სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (MES 0 25 0000062118 ბრძანება N 14 29.08.2025)
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 წლის 15 სექტემრის N 17 ბრძანება;
8. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა(ბრძანება N 16 /15.09.2025/);
9. სკოლის ვებგვერდი. https://skolebi.emis.ge/schools/1429

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლამ წარმოადგინა ორგანიგრამა, რითის დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს ერთმანეთზე დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ: დირექცია, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. რომელთა საქმიანობა განსაზღვრულია, როგორც კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, ასევე სკოლის შინაგანაწესით.

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,, დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“, (2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანებით) , დასაქმებული თანამშრომლების, ასევე კოლეგიალური სტურქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში და მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში.

სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული საჭტატო ნუსხა . სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, ბუღალტერი, 19 მასწავლებელი , მათ შორის 1 სპეც.მასწავლებელი, საქმიმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა (ბრძანება N 18 (01.02.2026)) სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული და გადანაწილებული. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, სკოლის შინაგანაწესისა და თანამდებობრივ ინსტრუქციების მიხედვით სკოლაში მოქმედი აქტებით გადანაწილებული ფუნქციები, რომელიც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, შესაბამისობაშია სკოლის განვითარების ერთწლიან გეგმასთან.

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს ემსახურება და ისეა განაწილებული, რომ შეძლონ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა. სკოლაში მოქმედ სტრუქტურულ ერთეულებსა და დასაქმებულ პირთა საქმიანობები და მოვალეობები დელეგირებულია, მათი ცოდნის, უნარებისა , კვალიფიკაციისა და ვალდებულებების მიხედვით და პროფესიული საქმიანობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უსაფრთხო და შეუფერხებელ განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები ასრულებენ საჯარო სკოლის წესდებით დადგენილ უფლება-მოვალეობებს ეთიკის კოდექსის შესაბამისად. .

სკოლის საგნობრივი კათედრები საქმიანობას ახორციელებს სკოლის მიერ შემუშავებული კათედრის დებულების შესაბამისად.

სკოლის სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა უფლებამოსილებებს ახორციელებს საჯარო სკოლის წესდების და ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებითა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;

2. სკოლაში დასაქმებულ პირებთან დადებული შრომითი ხელშეკრულება(პედაგოგებთან , მომსახურე პერსონალთან, საქმისმწარმოებელთან...);
3. სკოლის თვითმმართველობის დებულება;
4. „სკოლაში დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ“ (2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანებით)
5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა(ბრძანება N 8(01.09.2025)) ;
6. თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა /ფუნქციები(ბრძანება N 18 (01.02.2026)) ;
7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება;
8. სკოლის ორგანიგრამა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 ივლისის სხდომის N 1 ოქმით), რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის საკითხებს და მოიცავს პერსონალის შერჩევის, მიღების, შეფასების და პროფესიული განვითარების რეგულაციებს.

დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი მიზანები და მიდგომები. კერძოდ, პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას.

ასევე ამოცანები:

- **დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა;**
- **დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება;**
- **დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.**

ასევე შესწავლილი იქნა სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია შრომითი ურთიერთობის რეგულაციები და პირობები, შრომითი დისციპლინური გადაცდომები, გასატარებელი ზომები და თანამშრომლებთნ დადებული ხელშეკრულებები , რომლებშიც აღინიშნული იყო თანამდებობა, თანამდებობრივი სარგო, უფლებამოსილება-ვალდებულებები და დავის წარმოშობის შემთხვევაში გასაჩივრების მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა"(2025 წლის 15 ივლისის სხდომის N 1 ოქმი) და სხვა შესაბამისი დოკუმენტები . ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.
ზემოაღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს ვაკანსიის ან/და ახალი პოზიციის საჭიროების გაჩენის შემთხვევაში სკოლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლაში ადამიანური რესურსის დადგენილი საჭიროების საფუძველზე სხვადასხვა პოზიციაზე დანიშვნა ხდება წინამდებარე წესის მიხედვით.
როგორც სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან დადგინდა, სკოლა სასწავლო წლის ბოლოს საზღვრავს, თუ რომელ პოზიციაზე საჭიროებს კადრის დამატებას, შესაბამისად აცხადებს ვაკანსიას და კონკურისის საფუძველზე არჩევს კადრს.
მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე ცხადდება კონკურსი. ხოლო , სკოლაში საჭირო ადამიანური რესურსის **სხვა პოზიციაზე** არსებული ვაკანსიის შემთხვევაში დასაქმება ხდება , დაინტერესებული პირის მიერ სკოლის დირექტორის სახელზე შეტანილი განცხადებისა და დირექტორთანვე გასაუბრების საფუძველზე.
ახალი კადრის ინტეგრაციასა და ადაპტაციას სასკოლო საზოგადოებაში ახორციელებს დირექტორის მოადგილე, საგნობრივი მიმართულებით საქმიანობის გარკვევაში- კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებაში - კლასის დამრიგებლები. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია:
1. **მოლოდინები** - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ;
2. **შეხვედრა** - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი;
3. **„ოჯახის წევრობა"** - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა.
იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ გაეცნონ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისთვის სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საადაპტაციო პროცედურებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას მკაფიოდ აქვს გაწერილი ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა . მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge, ვაკანტური პოზიციის შესაბამისი კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაცია. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებულია კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება. საკონკურსო კომისია კანდიდატს არჩევს და აფასებს მის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, ასევე წინასწარ გაწერილი შეფასების კრიტერიუმებით.წესით, საკონკურსო კომისიის მიერ კადრის შერჩევა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მიღებას, ობიექტურობის, გამჭვირვალობბის პრინციპით. რაც შეეხება სკოლის დანარჩენ პერსონალს, ახალ კადრს დირექცია არჩევს გასაუბრების გზით.

გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონში კადრის სიმცირის გამო ვერ აიყვანა სერტიფიცირებული პედაგოგი. ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ხელოვნებისა და მოქალაქეობის მესწავლებილის ვაკანსია . რადგან მას სელოვნების საათები(**9 საათი)** განაწილებული ჰქონდა მოწვეულ მასწავლებელზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა teacherjobs.ge-ს კომპიუტერის ეკრანის ფოტო. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის საკონკურსო კომისიის ოქმები **და შესაბამისი ბრძანებები,** რომლითაც განხორციელდა სხვადასხვა პოზიციაზე კანდიდატთა (პედაგოგები, დამხმარე პერსონალი ადმინისტრაცია) შერჩევა და შერჩეულ კადრთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ექსპერტების მიერ ასევე შესწავლილ იქნა თანამშრომლების პირადი საქმეები. შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მათში სრულყოფილად არ იყო განთავსებული სკოლის მიერ გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კერძოდ, რამდენიმე თანამშრომელს აკლდა **სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის** წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობისა და **უფლების ჩამორთმევის** შესახებ ცნობები. ამიტომ დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასენ=ბული იტო , როგორც ,,არ შეესაბამება" .

სკოლამ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა 12-ვე თანამშრომლის ნასამართლეობის ცნობა და 2020 წლის შემდეგ მიღებული 2 თანამშრომლის ცნობები სქრესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ნასამართლეობის შესახებ.

შესაბამისად ,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები(2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანებით), თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში დასაქმებულია:

დირექტორი, ბუღალტერი, საქმიმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი , 19 პედაგოგი, 2 დარაჯი, 1 დამლაგებელი, სპეციალური მასწავლებელი-1, ტექნიკური მენეჯერი.
ინტერვიუირებით დადასტურდა, რომ გამოცხადებულ ვაკანსიაზე აყვანის კრიტერიუმები შეესაბამება დასაქმებულის პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნები წინასწარ ცნობილი იყო დაინტერესებულ პირთათვის.

შესაბამისად,
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა და სხვა ფუნქციონალური რგოლები. საგნის მასწავლებლებს, დამრიგებლებს და საგნობრივ კათედრებს შორის ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი კულტურა, ტარდება სამუშაო შეხვედრები, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრების ოქმებით. ასევე ატარებენ და გეგმავენ ერთობლივი ღონისძიებებისა და სხვადასვა პროექტს. სკოლას გააჩნია გუნდური მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება, ხდება წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება საჭიროების შემთხვევაში უკუკავშირის გაცემაც. ეს დადასტურდა ინტერვიუებითაც. პედაგოგები აღნიშნავდნენ , რომ
სკოლა ჩართული იყო USAID ის საბაზისო განათლების პროგრამაში, ასევე ,,ახალი სკოლის მოდელში", ყოველთვის უზიარებდნენ ერთმანეთს სიახლეებსა მეთოდიკისა და რესურსების შესახებ/ სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე დასწრებისა და საჭიროებების დადგენის შემდეგ გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში ნამდვილად იგრძნობა თანამშრომლობითი კულტურა. ამის ნათელი მაგალითია კათედრების ეფექტური მუშაობა, რომელთა შეხვერდრებზეც ერთობლივად იგეგმება გაკვეთილები , პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ვიზიტისას , ამ მიართულებით ყურადღება მიიქცია სკოლის დიდი გამოცდილების მქონე უხუცესი ქართულის მასწავლებლისა და ახალგაზრდა მასწავლებლებისა თანამშრომლობითმა ურთიერთობამ.

რაც შეეხება აღიარების , წახალისების ფორმები გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც, წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, წახალისების თაობაზე(მადლობა, ფულადი ჯილდო და სხვა) გამოიცემა დირექტორის ბრძანება. ინფორმაცია სკოლის წარმატებების, წარმატებული მოსწავლეებისა და თანამშრომლების შესახებ, მათი გამორჩეული

აქტივობების შესახებ ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში. აღნიშნული ინფორმაცია მომავალში ასევე განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2025 წლის 15 ივლისის სხდომის N 1 ოქმი)
2. სკოლის ორგანიგრამა;
3. შინაგანაწესი
4. 2025-2032 წლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
5. 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
6. დებულება - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ (2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანება)
7. მასწავლებლის წახალისების ბრძანება ;
8. სკოლის ტექნიკური პერსონალის წახალისების ბრძანება;
9. 2025 წლის 29 აგვისტოს ბრძანება N 14 სკოლის ფილოსოფიის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე
10. პედ. საბჭოს 2025 წლის 15 სექტემბრის ოქმი N 5 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვის თაობაზე
11. სამსახურეობრივი ბარათი ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება
3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმებსა და ეტაპებს (მუხლი 19. პერსონალის შეფასება; მუხლი 20. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება;.) შეფასებისას ეყრდნობიან ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.
პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ფუნქცია და ვალდებულებაა მასწავლებელთა საჭიროებების გამოვლენა და მათი მხარდასაჭერა . ჯგუფს ადამიანური რესურსეის მართვის პოლიტიკის დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს მონიტორინგის, შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც პერიოდულად იცვლება და ვითარდება სხვდასხვა საჭიროების გათვალისწინებით;
ასევე სკოლა პერიოდულად ატარებს პროფესიული საჭიროების კვლევას, რომელიც ხორციელდება ონლაინ პლატფორმების ან მატერიალური კითხვარის საშუალებით და კვლევის შედეგების საფუძველზე საკუთარი ადამიანური რესურსის გამოყენებით გეგმავს შიდა ტრენინგებს და ამისამართებს პედაგოგებს საჭიროებისა და ინტერესის მიხედვით შესაბამისი მოდულების მქონე ტრენინგკურსებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგ, ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა და საჭირო მომართულებით პროფესიული განვითარების დაგეგმვა. სკოლა იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს , გეგმავს შიდა ტრენინგებს, კათედრებზე უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას, ასევე, სკოლის დირექცია დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ტრენინგების შესახებ.
აღსანიშნავია, რომ სკოლა პროფესიული განვითარების მიმართულებით ზრუნავს არამარტო პედაგოგებზე, არამედ მომსახურე პერსონალზე და ადმინისტრაციაზე. მაგალითისთვის , სკოლამ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინკურსის გავლის საშულება მისცა ბუღალტერს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლისთვის პრიორიტეტულია არსებული კადრების სტაბილურად შენარჩუნება და მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა , რადგან სკოლის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს პერსონალის კვალიფიკაციასა და მოტივაციას. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში (მუხლი 21, თანამშრომელთა მოტივაცია) გაწერილი აქვს მოტივაციის ამაღლების მექანიზმები.
პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად სკოლა იძებს და დროულად აწვლის ინფპორმაციას არსებული აქტივობების თაობაზე , ხელს უწყობს თანამშრომლებს ჩაერთონ ტრენინგებში. სკოლა დაინტერესებულია თითოეული თანამშრომლის წარმატებითა და წინსვლით. ხარისხის განვითარების ჯგუფი ეხმარება სტატუსის შეცვალის მსურველ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლებისათვის

საჭირო ცოდნის მიღებასა და უნარების განვითარებაში. ამის დასტურია, ის ფაქტი, რომ სკოლა ამ ეტაპისთვის, ფაქტობრივად არ ჰყავს უსტატუსო მასწავლებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს თანმიმდევრულ სახელმძღვანელო მითითებებს და , ზოგადად, ცხადყოფს სკოლის პოლიტიკას ადამიანური რესურსების მართვის ძირითად ასპექტებთან მიმართებით. დოკუმენტში (მუხლი 18. ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია) გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის მექანიზმები და ეტაპები. სკოლაში ახალი თანამშრომლის მიღებისას მთელი კოლექტივი ცდილობს მის მხარაჭერას, აცნობენ სკოლის კულტურასა , რთავენ სხვადასხვა პროცესში და ეხმარებიან ადაპტაციაში. სკოლაში არის ძალიან ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემო, ეს იგრძნობოდა როგორც პერსონალის ექსპერტებთან თანამშრომლობისას, ასევე კათედრებთან საგნობრივი ექსპერტების შეხვედრისას და გასაუბრებისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან , სკოლის დირექცია ითვალისწინებს მათ საჭიროებებს და მხარდასაჭერად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2025 წლის 15 ივლისის სხდომის N 1 ოქმი)
2. დებულება - დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ (2024 წლის 1 სექტემბრის N 24 ბრძანება)
3. მასწავლებლის წახალისების ბრძანება ;
4. სკოლის ტექნიკური პერსონალის წახალისების ბრძანება;
5. კითხვარების ანალიზი; (პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად)
6. თანამშრომლის ადაპტაციის შიდა წესი;
7. ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილის რეფლექსია;
8. ურთიერთდასწრებისა და შეფასების შევსებული ფორმა ;
9. სკოლის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივების ამსახველი მასალა.

10. სკოლის ვებგვერდი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლის მიზანია, სკოლის მისიის განხორციელება, ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივ სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის მართვის შიდა და გარე მექანიზმების არსებობას , ასევე აღწერს ძირითადსა და დამხმარე პროცესებს.

დოკუმენტი აღწერს ადამიანური რესურსების შეფასების და მათი გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და მათი გაუმჯობესების, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის შემოწმების და მართვის მიზნით დადგენილ ღონისძიებებს. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისის უზრუნველყოფის ორი შიდა და გარე ხარისხის მართვის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და განვითარებას.

შიდა ხარისხის მართვის სისტემა ე.წ. PDCA მიდგომას:

P – plan - დაგეგმე;
D – do - განახორციელე;
C – check - შეამოწმე;

A – act - მოახდინე რეაგირება (განავითარე).

გარე ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელშიც მოიაზრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგი, ასევე, ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის მიზნით შესაბამისი ექსპერტების მიერ სკოლის ფილოსოფიის, სასკოლო კურიკულუმების, მატერიალური და ადამიანური რესურსების, მოსწავლეთა მხარდაჭრის სისტემის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტისა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობით პროცესად განსაზღვრულია მისიის და ღირებულებების მიხედვით სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი. ძირითად პროცესად მოიაზრება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება და განვითარება, ხოლო დამხმარე პროცესებად პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანებისა და პროცესების და ინფრასტრუქტურისა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, , სასკოლო საზოგადოების ინფორმირება, ფინანსური მართვა, მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება. სკოლას გააზრებული აქვს საგანმანათლებლო პროცესების სწორად და ხარისხიანად წარმართვისათვის მმართველობითი და ძირითადი პროცესების ურთიერთგავლენა და მნიშვნელობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (2023 წლის 21 სექტემბრის N 23 ბრძანებით). სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით განსაზღვრულია მოსწავლეთა, თანამშრომლეთა და მშობელთა მიერ საჩივრის წარდგენის წესი, განხილვის პროცედურები და სხვა დეტალები. კონკურსის ჩატარებისას, კანიდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კანონმდებლობით და სკოლის მიერ დამტკიცებული საჩივრისა და განცხადების განხილვის წესით დადგენილ ვადებში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული წესის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე/კანონიერ წარმომადგენელზე. ასევე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირზე, რომელსაც სურს, მიმართოს სკოლას ნებისმიერი განცხადებით/საჩივრით. სკოლაში შემოსულ განცხადებაზე/საჩივარზე ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენს საქართველოს კანონმდებლობის და ამ წესის შესაბამისად.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი , ასევე საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესის დოკუმენტი, რომლებშიც გაწერილია პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცვის მექანიზმები . დოკუმენტი ხელმისაწვდომია, ცნობილია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე სკოლის ფოიეში.

ასევე, გარდა ზემოაღნიშნულისა, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, მშობლებთან და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შესაბამისი მუხლები მოიცავენ უფლებების დაცვის მექანიზმებს და შესაბამისობაშია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილ უფლებებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები(ბრძანება N 8(01.09.2025))

1. საჩივრების განხილვის წესი;
2. შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.
3. მშობლის ხელშეკრულება.
4. სკოლის ვებგვერდი
5.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმები. სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას სასკოლო საზოგადოებას ძირითადად სოციალური ქსელით, კლასის მშობელთა დახურულ ჯგუფებსა და მშობელთა კრებებზე აწვდის. უკუკავშირის გათვალისწინებით კი გეგმავს შესაბამის აქტივობებს. სკოლის მმართველობითი პროცესები დემოკრატიულია და საჯაროა მმართველობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. სკოლას სასკოლო საზოგადოების ჩართულობის კარგი პრაქტიკა აქვს, რასაც მოწმობს სკოლის ფილოსოფიისა თუ სხვა დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა . მტკიცებულებები წარმოდგენილია ოქმების სახით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში სტრუქტურული კოლეგიური ორგანოების სახით ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო , მრჩეველთ საბჭო, სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, სკოლის თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები. აღნიშნულ კოლეგიური ერთეულების საქმიანობაში ჩართულები არიან სკოლის მასწავლებლები. თითოეულ ორგანოს დაბულებაში გაწერილი აქვს ფუნქცია-ვალდებულებები და შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრუქტურული ერთეულების/ჯგუფის ოქმები.
2. მრჩეველთა საბჭოს 2025 წლის 30 სექტემბრის ოქმი N 2

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და**

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას ეზო შემოღობილია კაპიტალურად რკინის ღობეებით, სკოლაში ნებისმიერი პირის შესვლას აკონტროლებს დარაჯი, ასევე სკოლაში დადგენილია სართულებზე მასწავლებელის მორიგეობის გრაფიკი, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება 14 ერთეული სამეთვალყურეო კამერით(მიღება- ჩაბარების აქტი N 4 2 მარტი 2026 წელი) . ყველა სართულზე სახანძრო კარადაში განთავსებულია ცეცხლმაქრები, ასევე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.

გარეშე პირთა სკოლაში შესვლა დაიშვება დირექციასთან შეთანხმებით, ხოლო მშობლების ვიზიტისთვის დაწესებულია კონკრეტული დღე და საათები.

- **სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა(საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი 12/02/2026MIA 0 26 00493506) ,**
- **სკოლამ წარმოადგინა ლევან სამხარაულის ეროვნულ ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობების მდგრადობისა და ექსპლუატაციის დასკვნა (5001305826, 09, 03, 2026წ.), რომელშის იკითხება, რომ სკოლის შენობა-ნაგებობა უსაფრთხოა ექსპლუატაციისთვის.**

1. **ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა. სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა** (15/02/2026 MES 9 26 0000164113) **უფლებამოსილ ორგანოსთან სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან / სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მოთხოვნით..**

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი, რომელსაც აქვს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავლილი ტრენინგკურსი, იგი უზრუნველყოფს ,საჭიროების შემთხვევაში, პირველადი დახმარების აღმოჩენას, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ შემუშავებული პირველადი დახმარების წესით (2024 წლის 3 დეკემბრის N 38 ბრძანება) .

დათვალიერებით დადასტურდა, რომ ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით (სამედიცინო ტახტი, საკაცე, მაცივარი, შირმა, საათი, სასზორი, სიმაღლის საზომი, წნევის აპარატი, პულსომეტრი, დინამომეტრი, ფონეიდოსკოპი, საკეტიანი ტუმბო, თერმომეტრი, სამედიცინო კარადა, ყინულების ბუშტი,რეზინის ხელთთმანები, ნიღბები, სტერილური ბამბა და სახვევები...)

ექსპერტების მიერ შემოწმებულ იქნა მომართვიანობის აღრიცხვის ჟურნალი, ასევე დაცული იყო პირველადი დახმარებისთვის საჭირო ყველა მადიკამენტი და ჭრილობის დასამუშავებელი საშუალებბების ვადიანობა.

ექთანი წელიწადში ორჯერ დირექტორთან წარადგენს ანგარიშს, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სემესტრის/წლის განმავლობაში გარატებული ღონისძიებები (ექთნის ანგარიში 2025 წ).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირი (2019 წლის 3 სექტემბრის ბრძანება N30) უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ), რომელიც პასუხისმგებელია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე , საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებენ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. დარაჯის მიერ ააღირიცხებიან შემსვლელი და გამსვლელი პირები.

სკოლის ტერიტორიაზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები, თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი ნიშნები. ასევე დამტკიცებულია თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესი(2018 წლის 05 მაისის N 55 ბრძანება).

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო (მრჩეველთა საბჭოს 2025 წლის 30 სექტემბრის ოქმი N 2), რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები ,შეიმუშაოს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინიციატივები და წარუდგინოს დირექტორს. სკოლა ასევე შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დებულება, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

სკოლაში თავლსაჩინო ადგილებზე გამოკრულია 112 -ისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმეგებლ პირთა ტელეფონის ნომრები. ნომრები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა კეთილგანწყობილი და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლის დირექტორი , სპეციალური მასწავლებელი, ექიმი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობითა და ნდობით ქმნიან სკოლაში ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს.

სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო საინფორმაციო კამპანიას: დისკრიმინაციის, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

ასევე სკოლა სასკოლო საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას , რომ საშიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია სახალხო დამცველის, 112-ის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ნომერი, რომელსაც შეუძლია მიმართოს ყველა მოსწავლემ თუ თანამშრომელმა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის ხარისხს აკონტროლებს და ზედამხედველობს ექთანი, იგი ინფორმაციას სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს ინფორმაციას აწვდის დალაგების წესის, ქიმიური ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ, ზედამხედველობს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას.

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულება გაწერილია თანამდებობრვ ინსტრუქციებში. თითოეული დამლაგებლისთვის განსაზღვრული ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის დასუფთავებაც ევალება. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის

საშუალებებით.ყოველი შესრულერბული სამუშაოს აღრიცხავა ხდება სკოლის მიერ შემუშავებულ ფორმაში და დასტურდება დამლაგებლის ხელმოწერით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები (ბრძანება № 16 07.10.2022წ.), რომელიც აღწერს პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის ფორმები.

სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ფუნქცია შეთავსებული აქვს საქმიამწარმოებელს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონი მოთხოვნის შესაბამისად, სკოლას გააზრებული აქვს, რომ აღნიშნულ პოზიციაზე უნდა განსაზღვროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი , ამიტომ შუამდგომლობის წერილით მიმართა რესურსცენტრს, რათა შეთავსებით მიამაგრონ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

მოსწავლეთა და პერსონალის პირადი საქმეები ინახება საქმისმწარმოებელთან, დაცულ ოთახში. კომპიუტერები, რომლებშიც მუშავდება კონფიდენციალური ინფორმაცია მიუწვდომელია გარეშე პირთათვის, დაცულია შესაბამისი პროგრამული პაროლებით და კოდებით. პროგრამული განახლების სისტემებით. ინფორმაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ აღნიშნულ პორტალზე დარეგისტრირებულ პირს. სკოლას აღნიშნულ საკითხებზე საორიენტაციოდ აქვს დამტკიცებული სკოლის საქმისწარმოების დებულება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში პერიოდულად მიმდინარეობს უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება. მიუხედავად იმისა , რომ სკოლის ეზო შემოსაზრცრული და დაცულია, ასევე დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, დარაჯისა და მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ უსაფრთხოების დაცვას. დირექტორთან საუბრისას დადგინდა, სკოლისთვის პირორიტეტუილია როგორც ფსიქოემოციური ასევე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი N2 (30.09025 წ), რომელშიც განხილულია წლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განმავლობაში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების გეგმა .

წლის ბოლოს კი დაგეგმილი აქვს უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება და უკუკავშირის საფუძველზე შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების დაგეგმვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2. შინაგანაწესი;
3. ლევან სამხარაულის ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
4. შესაბამისობის გეგმა;
5. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
6. საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის ბრძანება;
7. მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება და ოქმები; მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა;
8. დამლაგებლის ხელშეკრულება;
9. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
10. მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების შეფასების მოთხოვნით.(15/02/2026 MES 9 26 0000164113)
11. საგანგებო სიტუაციების მართვის შეთანხმებული გეგმა;
12. ვიდეო-სამეთვალყურეო კავერების მიღება-ჩბარების აქტი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № 89.02.29.002 . დაზუსტებული ფართობი 7915 კვ.მ. ფართი. მასზე განთავსებულია ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობები:

N01-საერთო ფართი 1828.8 კვ.მ;

N2 საერთო ფართი 28.6 კვ.მ; (საპირფარეშო).

N03 განაშენიანების ფართი 7.50 კვ.მ;(საპირფარეშო).

შენობა არის 1977 წელს აშენებული, ნაგებობა სამსართულიანია. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი კაპიტალურად შემოღობილი ეზო, ღია სპორტული მოედანი. ეზოში დგას სამი შენობა-ნაგებობა. აქედან ერთი ძირითადი სასწავლო კორპუსი, ორი გარე საპირფარეშო.
შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, გასახდელები, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სასადილო ოთახი . მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, კომპიუტერული კლასი, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი, საბუნებისლეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები. მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა , საგნობრივი კაბინეტები.
ამჟამად სკოლაში ირიცხება 23 მოსწავლე, მათ შორის 6 მოსწავლე. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - 100 მოსწავლეს.
ვიზიტისას ექსპერტების მიერ დათავლიერებულ იქნა ინფრასტრუქტურა. საბუნებისმეყყველო ლაბორატორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ ლაბორატორია არ არის სრულად აღჭურვილი, თუმცა არსებული რესურსი(მულიაჟები, ქიმიკატები, სინჯარები, თვალსაჩინოებები ....) იძლევა კურიკულუმის განხორციელების საშუალებას. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ონკანი, არ არის სავენტილაციაო-გამწოვი სისტემა, ინტერვიუირებით დადგინდა, რომ ძირითადად ტარდება ისეთი ცდები, რაც არ მოსწავლეებს არ უმნის საფრთხეს. როგორც დირექტორმა აღნიშნა სკოლამ წერილობითი მოთხოვნით მიმართა განათლების სამინისტროს ეკონომიკის სამსახურს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შეძენის თაობაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი (2026 წლის 12 იანვრის N 28 ბრძანება) .
სკოლის შენობას არ აქვს შიდა და გარე პანდუსები, დირექტორმა ინტერვიუში აღნიშნა , რომ მას გაგზავნილი აქვს წერილობითი მიმართვა მუნიციპალიტეტში, პანდუსების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მიღებული აქვთ დადებითი პასუხი, ასევე ექსპერტთა ვიზიტისას დაწყებული ჰქონდათ ბაზრის კვლევა , შესაბამისი სამშენებლო კომპანიასთან ხელშაკრულების დადების მიზნით. ასევე გაგზავნილი აქვთ წერილობითი მიმართვა სველი წერტილების , მათ შოროს ადაპტირებული საპირფარეშოების პირველ სართულზე

განთავსების მოთხოვნით. სკოლას უკვე გამოყოფილი აქვს 60 კვ შიდა ფართი. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც გაწერილია ინდიკატორთან შესაბამისობის უზურნველყოფის **ვადები 2026წლის მაისი-2017 წლის მაისი.**

სასკოლო საზოგადოებისაათვის ხელმისაწვდომია არსებული საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ნაწილი . კერძოდ, სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ძირითადი საერთო მოხმარების სივრცეები : ექიმის კაბინეტი, სასადილო დარბაზი, რესურს ოთახი, სპორტული დარბაზი, რომლითაც სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ . კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე-მესამე სართულზე, რომელთა ხელმისაწვდომობა

აღნიშნულთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია:
სკოლამ უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ყველასთვის ხელმისაწვდომობა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით 20.02.2027წ. -მდე

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, იგი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, მიეწოდება უწყვეტი ინტერნეტი.
ასევე აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი (2500-მდე ერთ.). რაც ელექტრონული კატალოგის დათვალიერებით დადასტურდა.
სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი(2026 წლის 12 იანვრის N 26 ბრძანება) , რომელიც გამოკრულია შიდა სივრცეში. ასევე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. წიგნადი ფონდი კალსიფიცირებულია დებულების თანახმად, აღწერილი და გატარებულია ჟურნალში. ჩვენ მიერ დათვალიერებული იქნა მხოლოდ მცირე ნაწილი. ყველა წიგნი დაშტამპული და ბეჭედდარტყმულია მე-17 გვ-ზე.
ასევე , დაწყებული აქვთ ელექტრონული კატალოგის შექმნა , ბიბლიოთეკარი აწარმოებს მკითხველის ბარათს . მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ელექტრონული , ციფრული ბიბლიოთეკით.

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობილი სივრცე მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს სკოლის ბაზაზე განახორციელონ, სოციო-კულტურული და შემეცნებითი აქტივობები .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

ამ დროისათვის სკოლას ჰყავს 2 სსსმ მოსწავლე, სკოლის არ აქვს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა . ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა შენობის შიდა სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშოები. სკოლა გეგმავს ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობას რისთვისაც, მომზადებული აქვს ხარჯთაღრიცხვა(წერილი N MES 3 26 0000207993 ხარჯთაღრიცხვის კორექტირების შესახებ) , რომელიც შეთანხმებულია შესაბამის სტრუქტურასთან , რის შემდეგაც ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელდება ადაპტირებული საპირფარეშოს მოწყობითი სამუშაოები. ასევე სკოლას მომზადებული და შეთანხმებული აქვს ხარჯთაღრიცხვა პანდუსების დამონტაჟების სამუშაოების დასაწყებად და ვიზიტის პერიოდში დაწყებული ჰქონდა ბაზრის კვლევა **(წერილი NMES 7 26**

0000209995 პანდუსის მოწყობის ხარჯთაღრიცხვისთვის საჭირო ბაზრის კვლევის თაობაზე). ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლამ თვითშეფასებასთან ერთად წამოადგინა შესაბამისობის გეგმა , რომელშიც გაწერილია აქვს ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრის ვადები , კერძოდ , დაწყება _.2026 წ მაისის- დასრულება 2027წ. მაისი .

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი რესურს ოთახი , რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით.

ზემოაღწერილი მოწმობს, რომ სკოლა ზრუნავს ინკლუზიური გარემოს შექმნაზე.

აღნიშნულთან მიმართებაში გაიცა რეკომენდაცია:

სკოლამ უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული საპირფარეშოების, შესასვლელი პანდუსისა და სართულებზე გადასაადგილებელი პანდუსების დამონტაჟება შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში 20.02. 2027წ.-მდე .

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ.

სკოლას აქვს მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი დიდი ეზო, ღია სპორტული მოედანი, რომელზეც იმართება სპორტული აქტივობები და შეჯიბრებები, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, განახორციელონ სოციალურ-კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, თუმცა აქვს ფართო დერეფანი , რომელშიც მოწყობილი სცენა და იყენებენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებელ სივრცედ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024 წლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. საინვენტარო აღწერილობის აქტები;
3. ინვენტარიზაციის შედეგების ოქმი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (2026 წლის 12 იანვრის N 26 ბრძანება);
5. ფოტომასალა.
6. წერილი NMES 7 26 0000209995 პანდუსის მოწყობის ხარჯთაღრიცხვისთვის საჭირო ბაზრის კვლევის თაობაზე
7. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი(2026 წლის 12 იანვრის N 28 ბრძანება) ;
8. სკოლის ვებ_ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულად რეაბილიტირებულია და შესაბამისად , როგორც ინფრასტრუქტურა, როგორც საგანმანათლებლო სივრცეები , ასვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მხრივ სრულად გამართულია და უსრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას.სკოლას აქვს უწყვეტი კავშირის ინტერნეტქსელი, დამონტაჟებულია როუტერები, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, ასევე, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით.

სკოლას აქვს გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა :

1. პერსონალური კომპიუტერი 2
2. პორტატული კომპიუტერი 4
3. პროექტორი 2
4. პრინტერი 4

სკოლის ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექცია და ადმინისტრაციული სივრცეები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით და საჭიროების შემთხვევაში თითოეული ხელმისაწვდომია სკოლის პერსონალისთვისა და მოსწავლეებისთვის. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტექნიკური პრობლემების მოგვარებას, ხოლო კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფილი IT სპეციალისტი. სკოლაში არის ინტერნეტქსელი, რომლის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა უზრუნველყოფს არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიასთან გამოკრულია მატერიალური_ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესები(2026 წლის 12 იანვრისN 28 ბრძანება) და ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარიზაციის დოკუმენტი;

მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესები(2026 წლის 12 იანვრის აN 28 ბრძანება);

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (2023 წლის 5 იანვრის N 23 ბრძანება), რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ საქმის წარმოების წესსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსს. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი შიდა წესი. აღნიშნული წესი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს.
სკოლას აქვს კანცელარია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მას მინიჭებული აქვს უნიკალური მომხმარებლის სახელი და პაროლი და ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow) ახორციელებს დოკუმენტების რეგისტრაციას.
საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას, აწარმოებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას , მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას. იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას .
ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა როგორც მატერიალური ჟურნალები ასევე სკოლის Eflow-ის გვერდი. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა ჟურნალი იყო დანომრილი, აკინძული და ბეჭედდარტყმული. სკოლის მიერ გაცემული სამართლებრივი აქტების ნომერი და თარიღი თანხვედრაში იყო როგორც მატერიალურ ჟურნალში , ასევე Eflow-ის ელექტრონულ ბაზაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის - Eflow- მეშვეობით.რომელის საშუალებითაც სკოლა დროულად გადასცემს ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ასევე , ელექტრონული სისტემის (eflow) საშუალებით იგზავნება მასწავლებელთა და მოსწავლეთა სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები,ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ. აღნიშნულ ბაზასთან წვდომა აქვს საქმისმწარმოებელსა და საინფორმაციო მენეჯერს. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით, Eflow-ს სისტემასთან. სკოლას არ ჰყავს არცერთი სტატუსშეჩერებული მოსწავლე. კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა : chkhuteli@mes.gov.ge სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც დათვალიერებულ იქნა ექსპერტების მიერ. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.ასევე ინფორმაცია მოსწავლეების, მათი მშობლების, სკოლის პერსონალის, სახელმძღვანელოების, სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოსა და თვითმმართველობის არჩევნების შედეგების შესახებ

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა მუდმივად და დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს. რომელთანაც ურთიერთობს ანგარიშგებისა და თანამშრომლობითი სახით დადგენილ ვადებში, 10 დეკემბრისთვის, და უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ანგარიში განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარუდგენს ხელშეკრულების შესრულების ანგარიშებს ელექტრონულად, CMR მოდულის მეშვეობით. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარუდგენს ყოველწიურ ანგარიშს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ასევე დადგენილ ვადებში აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს იჯარის ფორმით ფართის გადაცემის შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმის წარმოების წესი(2023 წლის 5 იანვრის N 23 ბრძანება);
2. საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება;
3. დეკემბრის ანგარიშები;
4. eSchool.emis.ge სკოლის პროფილი
5. Eflow-ში დოკუმენტ-ბრუნვა
6. ელ.ფოსტა: chkhuteli@mes.gov.ge
7. სკოლის ვებგვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1429

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი (2024 წლის N31 ბრძანება) , რომელშიც აღწერილია ინფორმაციის სკოლის სახელით გავრცელების რეგულაციები.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1429 , რომელზეც განთავსებული აქვს სანდო და უტყუარი ინფორმაცია. ასევე აქვს სოციალური ქსელის გვერდი - Facebook, რომელიც წარმოადგენს სკოლის საკომუნიკაციო სივრცეს, ორივე პლატფორმაზე მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების, სასკოლო აქტიური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ან პირდაპირი კომუნიკაციისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება ინფორმაციის გაცემა -გავრცელების საკითხს. ინფორმაციას საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე აქვეყნებს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მხოლოდ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აზრი, ამიტომ საკომუნიკაციო არხებიდან ეს იქნება (facebook) დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში, ელექტრონული ფოსტა, სკოლის კანცელარია, რომელის საშუალებითაც შესაძლებელია დამყარდეს ორმხრივი კომუნიკაცია, შემოსული ინფორმაცია თავს იყრის საინფორმაციო მენეჯერთან და საქმისმწარმოებელთან, რომლებიც აწვდიან ინფორმაციას სკოლის დირექციას. მუშავდება შემოსული ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში ხდება სათანადო რეაგირება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1429 , რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზე,

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე https://skolebi.emis.ge/schools/1429 განთავსებულია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

2. სკოლის ვებ-გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1429

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დირექტორი ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს. . ბიუჯეტი იგეგმება რეალური გაანგარიშებების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე, ხარჯვით ნაწილში. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას სკოლა ითავლისწინებს სავარაუდო შემოსავლებს, მომდევნო წლის პრიორიტეტებს, სავარაუდო ხარჯებს და წინა წლის გამოცდილებას.
თანხების განკარგვა ხორციელდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. თანხა ასევე გათვალისწინებულია საოფისე ხარჯებზე. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა იღებს დამატებით დაფინანსება სამინისტროსგან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს.
სკოლის ბიუჯეტში ძირითდ შემოსავლებს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან .
რეალური შემოსავლები ზუსტდება წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ და გეგმის ცვლილების საჭიროების შემთხვევაში სკოლა მიმართავს რესურსცენტრს.
სკოლას დამტკიცებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი, რომლის თანახმადაც, ფინასური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მართვის მიზნით, სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით მუშავდება და მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა.

შესყიდვებამდე სკოლის ბუღალტერი ატარებს ბაზრის კვლევას , ასევე ადგენს სკოლის საჭიროებს. ფინანსური რესურსების ამგვარი გეგმა ურუნველყოფს რეალური საჭიროებებისა და ხარჯების განსაზღვრას და ცდომილების მინიმუმამდე დაყვანას. სკოლას აქვს შესყიდვების შიდა მონიტორინგის მექანიზმი. საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება ან/და შესყიდვების წლიური გეგმის ცვლილება, რომელსაც დადგენილ ვადებში წარადგენს ანგარიშგებას შემოსავლების სამსახურში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ბიუჯეტი.
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის წარდგენაზე;
4. შესყიდვების გეგმა და შესყიდვების განხორციელების წესი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება,.
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორიცაა შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი, პირველადი დახმარების

აღმოჩენის ინსტრუქცია, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა, ბიბლიოთეკის დებულება და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. ყველა შიდა სასკოლო რეგულაცია ემსახურება სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას და მათი ინტერესების დაცვას.

ასევე სკოლა ხელმძღვანელობს მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დოკუმენტით , რომელიც არეგულირებს მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენის პროცესებს.
სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი , რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებელი პირი სკოლის საქმისმწარმოებელია. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც მოსწავლეთა ჯანმრთელობის და პირველადი სამედიცინო დახმარების გარანტია, ასევე არსებობს სამედიცინო დახმარების წესი. სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვას არეგულირებს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. შინაგანაწესის გაცნობა ხდება მშობელთა კრებაზე, სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე გამოკრულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე. ასევე ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.
სკოლის დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას. კომიტეტი შედგება მასწავლებლების, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან.
სკოლის შინაგანაწესის გაცნობა აუცილებელია ახალი თანამშრომლის მიღებისას, ხოლო მოსწავლის ჩარიცხვისას მშობელს აცნობს კლასის დამრიგებელი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ექპრეტების მიერ შესწავლილი იქნა სამივე საფეხური სკოლის მიერ მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. რაზე შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელის მოწერით, ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად , ერთი რჩება როგორც წესი სკოლაში - მეორე ეძლევა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ასევე სკოლას მშობელთან დადებული აქვს შეთანხმება მოსწაველეთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების , ფოტო-ვიდეო მასალის გამოქვეყნების უფლების შესახებ.
ასევე ხელშეკრულებები ფორმდება: სახელმძღვანელოების გადაცემასას , მიღება - ჩაბარების აქტები კი _ „ჩემი პირველი კომპიუტერის“, პირველკლასელი მოსწავლეებზე კომპიურეტების გადაცემისას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. დამრიგებლის მშობლებთან შეხვედრის ოქმი N1.
3. სამედიცინო დახმარების წესი;
4. სამედიცინო მოხმარების წესის დამტკიცების ბრძანება;
5. თვითმმართველობის დებულება/ბრძანება;
6. თვითმმართველობის არჩევის ოქმი;
7. დისციპლინური კომიტეტის ოქმი 1
8. მშობლებთან დადებული ხელშეკრულება;
9. მშობლების თანხმობის ფორმა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ;
10. პირველკლასელთა კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი;
11. სახელმძღვანელოების მიღება- ჩაბარების აქტი;
12. წარჩინებულ მოსწავლეთა კომპიუტერების მიღება -ჩაბარების აქტები;
13. მრჩეველთა საბჭოს დამტკიცების ბრძანება;
14. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი;
15. მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელი დოკუმენტი 2024 წლის 30 ივნისის N24 ბრძანება)
16. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი (2023 წლის 21 სექტემბრის N 23 ბრძანება)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს.
სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე . ამ გუნდის რეკომენდაციების

გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია.
ზემოაღნიშნული შიდა რეგულაციები შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა კანონმდებლობისა და მის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მექანიზმების შესაბამისად იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების წესს. მოსწავლის პირველ კლასში მიღება ხორციელდება მშობლის განცხადების საფუძველზე, მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სპეციალურ პორტალზე (registrations.emis.ge) რეგისტრაციისა და კანონმდებლობის შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.
მობილობის განხორციელება ხდება კანონმდებლობისა და შიდა მქექანიზმების საფუძველზე. მექანიზმებში გაწერილი პროცედურების განხორციელება ასახულია მოსწავლეთა პირად საქმეებში, შესაბამის გრაფებში ინფორმაციის შეტანით. სკოლაში ყველა მოსწავლეზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

საასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმას და ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. ასევე აცნობენ სკოლის მიერ შეთავაზებულ მომსახურების სერვისებსა და პირობებს.
მაგალითისთვის: მეოთხე კლასის ბოლოს მეორე/მესამე ენისა არჩევის უფლებას და კლუბების არჩევის შესაძლებლობას. სკოლის სერვისები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის თანაბრად. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმი და მშობლის განცხადება მეორე ენის(რუსული ენის) არჩევის თხოვნით.
ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი გაზიარებულია და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზეც, შესაბამისად, ყველა დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობა საჯაროა. სკოლაში არსებული კლუბების, წრისა თუ სხვა დამატებითი სერვისების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფებსა და ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლა სასკოლო საზოგადოებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში აწვდის ინფორმაციას ცვლილებების შესახებ .

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. სკოლის საინფორმაციო დაფა;
4. მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის ბრძანებები;
5. კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
6. მშობელთა კრების ოქმი .

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი(2026 წლის 12 იანვრის N 27 ბრძანება), რომელშიც გაწერილია სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ახლად მიღებული მოსწავლის ადაპტირებისთვის. დოკუმენტში ცალკეულ მუხლებად არის გაწერილი პირველკლასელთა ადაპტაცის (მუხლი 4) , სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია(მუხლი 5), მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია(მუხილ6), საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია (მუხლი 7). ადაპტაციის წესში დეტალურად არის განსაზღვრული სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები, მათი განხორციელების პროცედურები და პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლეებთან და მშობლებთნ გასაუბრებით, დადასტურდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს ზემოაღნიშნული დოკუმენტით და აღწერილ მექანიზმებს იყენებს მოსწავლეთა ადაპტაციის ხეშესაწყობად. მოსწავლეები აღწერდნენ დამრიგებლის ჩართულობასა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებს: გარემო დათვალიერება/გაცნობა, შინაგანაწესის გაცნობა, კლასელებთან წარდგენა ... მათ აღნიშნეს, რომ პირველივე დღიდან ძალიან უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს, მალევე დაუმეგობრდნენ თანაკლასელებს და მასწავლებლებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის წარმომადგენლებთან საუბრისას დადგინდა, რომ მოსწავლეთა სასწავლო გარემოს მიმართ ადაპტაციაზე პედაგოგები ზრუნავენ . კლასის დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. წლის დასაწყისშივე აცნობენ შინაგანაწესს , ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. ასევე, დამრიგებელი ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მოსწავლეს გაწევრიანდეს კლუბებში.
აღსანიშნავია, რომ სკოლა საბავშვო ბაღთან ერთად ახორციელებს პროექტებს უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებისათვის , სკოლის გარემოსა და მომავალი მასწავლებლების მიმართ კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით. კერძოდ, ,,წიგნის კითხვის დღე საბავშვო ბაღში“
რაც შეეხება პირველკლასელთა მიღებას და ადაპტაციას, სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლაში მათთვის ეწყობა ღია კარის დღეები, ათვალიერებენ სკოლას, სასწავლო გარემოს, ეცნობიან სკოლის ისტორიასა და დამკვიდრებულ წესებს. მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით ეწყობა საზეიმო მიღება, ხოლო დამრიგებლები საკლასო ოთახს აწყობენ საზეიმოდ.
.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია ხარისხის შემოწმების მექანიზმები. მათი გამოყენებით სკოლა იკვლევს სწავლის ხარისხსა და ადგენს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების საჭიროებებს , რათა შესაბამისი აქტივობების დაგეგმვით(დამატებითი მეცადინეობები, კონსულტაციები) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების

გაუმჯობესებას. ასევე, დამრიგებლები ოპერატიულად აწვდან ინფორმაციას მშობელსაც, რათა მისი მხრიდანაც მოსწავლემ მიიღოს სათანადო მხარდაჭერა. სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით,სკოლას აქვს , ერთსა და იმავე კლასის მასწავლებელთა და კათედრების თანამშრომლობითი შეხვედრების პრაქტიკა . შეხვედრისას ხდება პრობლემების იდენტიფიცირება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. ასევე სკოლა აკადემიური ხარისხის გასაუმჯობესებლად , საჭიროების შემთხვევაში, იყენებს რემედიაციას დიფერენცირებული სწავლების მიდგომებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სადიაგნოსტიკო ტესტები, მათი ანალიზი, რემედიაციის პროგრამა და განრიგი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს დროულად აწვდის ინფორმაციას სკოლაში დაგეგმილი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების შესახებ. კერძოდ, ექსტერნატის, სემესტრული და წლიური გამოცდების დანიშვნის, სკოლაში დაგეგმილი ნებისმიერი ტიპის ღონისძიების შესახებ.
სკოლა ორიენტირებულია სწავლების ხარისხზე და მუდმივად მზადყოფნაშია მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა აკადემიური თუ საორგანიზაციო კუთხით. საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მზაობა კონსულტაციები გაუწიოს მოსწავლეებს ექსტერნატის გამოცდების წინ. ასევე , გამოყოს სასკოლო სივრცეები აქტივობების განსახორციელებლად.
სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. სკოლას 2 სსმ მოსწავლე ჰყავს. თითოეულითვის მულტიდისციპლინარული ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურს ოთახში. როგორც სპეცმასწავლებელთან საუბრისას დადგინდა, წინა წლებში ჰყავდათ 4 სსმ მოსწავლე , ორ მათგანს 2024-2025 სასწავლო წელლის ბოლოს მოუწია გადაფასება, რის საფუძველზეც მოეხსნათ სსმ მოსწავლის სტატუსი. ყველა გატარებული ღონისზიების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ მათი მშობლები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები. მოსწავლეთა ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალური აქტივობების განხორციელებას. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული და ნორჩ ისტორიკოსთა კლუბები , რომელებიც მოსწავლეთა თვოთმმართველობის ინიციატივით შეიქმნა. ასევე სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით, განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრება. სკოლა ჩართულია რეგიონალურ სპორტულ შეჯიბრებებში . კერძოს

მაგიდი ჩოგბურთის, რაგბის, ფრენბურთის რეგიონალურ ჩემპიონატებში, ასევე ნორჩ ისტორიკოსთა კლუბის პოექტების ფარგლებში ეწყობა ლაშქრობა -ექსპედიციები, ისტორიული ძეგლების შესწავლის მიზნით. მოსწავლეთა ინიციატივითა და ჩართულობით და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური მხარდაჭერით არაერთი ღონისძიება და პროექტი ხორციელდება. გასულ სასწავლო წელს სამოქალაქო მასწავლებლის მხარდაჭერით სკოლის სამივე საფეხურის მოსწავლეები ჩართული იყვნენ პროექტში - ,,ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ . მონაწილეები გადავიდნენ რეგიონალურ ნახევარფინალში. გუნდი დაჯილდოვდა საჩუქრებით და დიპლომებით. აღნიშნული აქტივობით. სკოლის მოსწავლეებისა და საგნის მასწავლებლების ინიციატივით შემუშავებული იქნა სასკოლო გრძელვადიანი პროექტი ესგ პრიორიტეტული თემის -ადამიანის უფლებების ფარგლებში სახელწოდებით ,,ჩვენ ყველა თანასწორნი ვართ''. პროექტი დაიწყო 2026 წლის თებერვალში და გრძელდება 2027 წლის ივნისამდე.

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა როგორც თვითმმართველობის თავმჯდომარის განცხადება, ასვე განხორცელებული აქტივობების ფოტომასალა, ასევე ზემოაღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან და მშობლებთნ ინტერვიუებითაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა იკვლევს მოსწავლეთა ინტერესებსა და წინა წელს შეთავაზებული სერვისებით/პროგრამებით კმაყოფილებას და უკუკავშირის საფუძველზე ადგენს მომსახურების გაუმჯობესების მექანიზმებს. დამრიგებლები ცდილობენ მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიცირებას და გადაჭრის გზების შეთავაზებას. სკოლა მოსწავლეთა საჭიროებების დადგენისთვის იყენებს სპეციალურად შედგენილ მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარებს, რომლის ანალიზის საფუძველზეც იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად.ზემოაღნიშნული დასტურდება მშობლებთან და საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან ინტერვიუთი და სკოლის მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა კითხვარებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
2. დაწყებითი კლასების მშობელების 2025 წლის 30 დეკემბრის შეხვედრის ოქმი N 2;
3. საბაზო -საშუალო კლასების მშობელთა შეხვედრის 2025 წლის 29 დეკემბრის ოქმი N 2;
4. ,,ნორჩი ისტორიკოსების'' კლუბის წესდება;
5. ,,ნორჩი ისტორიკოსების'' კლუბის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/share/1GAvzirShy/
6. სპორტული კლუბის ფოტო ;
7. სპორტული კლუბის მიღწევების დამადასტურებელი დიპლომები ;
8. სასკოლო პროექტი ადამიანის უფლებების შესახებ;
9. დაწყებითი კლასების დამრიგებლის 1-ლი სემესტრის ანგარიში;
10. სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/chxuteli/ ; ▯ სკოლის ვებგვერდი: https://skolebi.emis.ge/schools/1429
11. .აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებელი ღონისძიება-რემედიაციის პროგრამა, გეგმები;
12. მოსწავლეთა ინიციატივების დაყენებისა და მხარდაჭერის ამსახველი მასალები (განცხადებები, შესყიდვების დოკუმენტი)

13. მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ორიენტირებულია , საბაზო -საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დაეხმაროს მომავალი პროფესიის სწორად არჩევასა და კარიერულ დაგეგმვაში. სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა პროფესიებს, მათ აქტუალობას, სპეციფიკასა და საჭირო უნარებს. სკოლას თნამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან, რომლის მიზანია სკოლის პედაგოგების პროფესიული განვითარებისა და სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის და მათი პროფესიული ორიენტირების ხელშეწყობა.
პირველ სემესტრში განხორციელდა სამიზნე მოსწავლეების შეხვედრა მუნიციპალიტეტში მოღვაწე წარმატებულ მცირე მეწარმეებთან , ადგილზე იქნა ნახული ადგილობრივი ჩაის ტექნოლოგიის წარმოება. სკოლაში უფროსი ასაკის მოსწავლეებში ჩატარდა კვლევა , რათა დაედგინათ რამდენად აქვთ მოსწავლეებს გააზრებული პროფესიის სწორად არჩევის საკითხი,რომელი პროფესია უფრო მოწონთ და რატომ, რომელი პროფესიაა ბაზარზე მოთხოვნადი . მეორე სემესტრში შედგა შეხვედრა ქ. ქუთაისის საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სიოს" დირექტორთან, რომელიც მოსწავლეებს გააცნობს კოლეჯის სპეციალობებს ,კერძოდ სამეანო და საექთნო საქმის მიმართულებით. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ სკოლების კოლაბორაციის ფარგლებში დაგეგმილ პროექტში - ,,იმიტირებულ სასამართლო პროცესი".
სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან შეხვედრა ჩატარებული აქვს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა საბაზო -საშუალო მოსწავლეებისთვის აორგანიზებს შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. მოსწავლეთა ცნობადობის ამაღლება ხდება როგორც მათთან პირისპირ შეხვედრებით, ასევე საინფორმაციო ბუკლეტებითაც. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია პროფესიული განათლების ხელშემწყობი აქტივობების შესახებ შესაბამისი საკითხები. სადამრიგებლო საათზე დამრიგებელი იკველევს მოსწავლეთა ინტერესებს და მათი ინტერესების გათვალისწინებით აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიების შესახებ. ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად ეწყობა საინფორმაციო ტიპის შეხვედრა კადეტთა კორპუსთან , სამხედრო პროფესიის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით,სადაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ შეხვედრებში. დამრიგებლები ატარებენ საუბრებს მომავალი პროფესიების შესახებ და აწვდიან

ინფორმაციას უნივერსიტეტების და სხვადასხვა ფაკულტეტების შესახებ, აწყობენ ექსკურსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში პროფესიების გაცნობის მიზნით

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა იაზრებს რა წინა გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მნიშვნელობას, მომავალი წლის სამოქმედო გაგმაში პრიორიტეტების დასახვისას ნელ-ნელა ნერგავს გაწეული მომსახურების შეფასების პრაქტიკას.
სკოლა მცირეკონტინგენტიანია და სკოლის არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა რაოდენობი გაზრდა. ამიტომ, სკოლა მუდმივად ცდილობს სერვისების გაუმჯებესაბასა , სასკოლო საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და განვითარდებას

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა პროფორიენტაციის გეგმა(2025-2026) ;
2. კლასის საათების ჩატარების დამადასტურებელი რეფლექსია; (დამრიგებლის პორტფოლიოები);
3. ,,სტუმრად ჩაის დამამზადებელ საწარმოში''-ფოტო;
4. სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/chxuteli/

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სსსმ და შშმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესი და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. სასწავლო წლის დასაწყისში დგება სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.
ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 2 სსსმ მოსწავლე, თითოეული ჩართულია ზოგად საგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლა, სასწვლო წლის დასაწყისში , ერთი თვის ვადაში, ქმნის ინდივიდუალურ სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ შეიმუშავებენ მოსწავლეზე მორგებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინდივიდუალური სასწავლო დაფუძნებული

მულტიდისციპლინარული ჯგუფის დასკვნაზე და მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და მისი მიღწევის გზებს,

სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. ისგ ჯგუფის წევრები აქტიურად არიან ჩართულნი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევაში. სპეც მასწავლებელთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ წინა გადაფასება მოუწია ორ მოსწავლეს, რომლებსაც მოეხსნა სსსმ -ს სტატუსი **(მულტიგუნდის დასკვნა მოსწავლის გადაფასების შესახებ დანართი N 1).**

ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი , რომელიც ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულების შესაბამისად, ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს სასწავლო წლის განმავლობაში .

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ზემოაღნიშნული დოკუმენტები, ასევე, მოსწავლეებისთვის შექმნილი რესურსები და მოსწავლეების ნამუშევრები. შედარებული იქნა ინდ გეგმაში გაწერილ აქტივობებთან.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდასაჭერად საგნის მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ მიღწეულ შედეგებსა და ეფექტურ სტრატეგიებს. ასევე, სკოლაში შექმნილი ისგ ჯგუფი იკრიბება სამუშაო შეხვედრებზე წელიწადში მინიმუმ 4-ჯერ, საჭიროებიდან გამომდინარე განიხილავენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების, მოდიფიცირებისა თუ სწავლების საკითხებს,მოსწავლის პროგრესსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლა მშობელს მუდმივ რეჟიმში აწვდის ზეპირი კომუნიკაციის გზით ინფორმაციას მოსწავლის პროგრესსა და მიღწევებზე. სასწავლო წლის ბოლოს ისგ ჯგუფის კოორდინატორი პედაგოგიურ საბჭოს, მშობელს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს მოსწავლის პროგრესსა და სწავლების შედეგებზე. კლასის საათზე გარკვეული დრო ეთმობა ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას.

როგორს სპეცმასწავლებლებთან ინტერვიუდან დადგინდა, რესურს ოთახში, გარდა სსსმ მოსწავლეებისა, ინტეგრაციის მიზნით საკუთარი ინიციატივით აქტიურად არიან ჩართული ტიპური განვითარების მოსწავლეებიც, ისინი თავად იჩენენ ინიციატივას და მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სოციალიზაციასა და თანასწორობას მოსწავლეებს შორის. სსსმ მოსწავლეები ინტეგრირებულები არიან სხვადასხვა კლასებში. სკოლის მასწავლებლების ხელშეწყობით თითოეულ კლასში, შექმნილია მეგობრული, კეთილგანწყობილი და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემო, სწავლება კი მიმდინარეობს დიფერენცირებული მიდგომით. როგორც დირექტორმა აღნიშნა, სკოლაში ფაქტობრივად ყველა მოსწავლე ერთდროულად მოდის. მათ ჩამოუყალიბდათ კულტურა, რომ სკოლაში მოსვლემდე გზადაგზა იკრიბებიან ერთად , უფროსკლასელები პასუხისმგებლობას იღებენ უმცროსკლასელებდა და სსმ მოსწავლეებზე და ერთდოულად მოდიან სკოლაში. ვიზიტის დროს შემჩნეული იქნა მასწავლებლებისა და მოსწავლეების კეთილგანწყობა სსმ მოსწავლეებისადმი, ღია სპორტულმოედანზე ერთად თამაშობდნენ კალათბურთს. თვალში მოსახვედრი იყო, მოსწავლეებისაგან მზრუნველობა და მხარდაჭერა, ხოლო სსსმ მოსწავლის მხრიდან უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა.

სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში პედაგოგების ჩართულობაზე მეტყველებს სხვადასხვა ტიპის აქტივობები, სკოლა სისტემატურად აღნიშნავს დაუნის სინდრომის დღეს და სხვა. სკოლის მიერ გამოკვლეული იქნა სსსმ მოსწავლეეთა ინტერესის სფეროები. ერთ-ერთი მე-6 კლასელი მოსწავლის ინტერესის სფეროა მუსიკა და სპორტი,განსაკუთრებით კალათბურთი. მუსიკის მასწავლებელმა სპეც. მაწავლებელთან ერთად რამდენიმე წლის აქტიური მუშაობის შედეგად მიაღწიეს იმას,რომ მოსწავლე მღერის და აქტიურად ერთვება სასკოლო ღონისძიებებში. აღნიშნული სსსმ მოსწავლე ასევე სპორტის მასწავლებელმა გააერთიანა სკოლის ბაზაზე არსებულ სპორტულ კლუბში, რაც აისახა მოსწავლის და მშობლის მოტივაციაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. . მულტიგუნდის დასკვნა მოსწავლის გადაფასების შესახებ დანართი N 1

2. ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
3. შიდამონიტორინგის დასკვნა;
4. სსსმ მოსწავლის წინსვლის და მხარდაჭერის აღწერის დოკუმენტი;
5. სპეცილური მასწავლებლის 2025-2026 სასწ.წლის 1-ლი სემესტრის ანგარიში;
6. სპეც.მასწავლებლის პორტფოლიო.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით მომსახურებას . ტრანსპორტის მომსახურეობით სარგებლობს სსსმ მოსწავლე , მასზე მორგებული გრაფიკით.
   სხვა დამატებით/არასავალდებულო მომსახურებას სკოლა ამ ეტაპისთვის არ სთავაზობს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ტრანსპორტით მომსახურეობა ხდება ნებაყოფილობითობის პრინციპის დაცვით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება მძღოლსა დამუნიციპალიტეტის მერიას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა აქვს სატრანსპორტო კომპანიასა და მუნიციპალიტეტის მერიას, ასევე მათ შორის არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია უსაფრთხოების ნორმების დაცვის და უსაფრთხო გადაადგილების ვალდებულება.
ყოველდღიური ტრანსპორტირების შემოწმება ხდება ტრანსპორტირების უწყისის წარმოებით, მონიტორინგს ახორციელებს გამოყოფილი პირი . მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტირების ტაბელები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ზურაბ ეფაძის სახელობის ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტელის საჯარო სკოლაში დირექტორის 2025 წლის 1 სექტემბრის N 7 დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პროცესები: შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. დოკუმენტის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობითი და გუნდური პრინციპების საფუძველზე. პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ფუნქციები, პრიორიტეტები და შეხედულებები. კურიკულუმის განვითარებაში ჩართულნი არიან მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და ადმინისტრაცია. აღნიშნული პროცესი გაწერილია შესაბამის დოკუმენტში და ეფუძნება წინა სასწავლო წლის კურიკულუმის ანალიზს. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მიმდინარეობს კურიკულუმების განახლება და შემუშავება. აღნიშნულის საფუძველზე კათედრები, საგნობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, განსაზღვრავენ სავალდებულო თემების ჩამონათვალს, საკითხებს, შემოქმედებითი დავალებების პირობებსა და შესაბამის რესურსებს, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან (გრძელვადიან მიზნებთან). კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) დოკუმენტით და ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლისა და მშობლის ჩართულობით. დაწესებულებამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის სხდომების ოქმები და მშობელთა კრების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პროირიტეტების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ცხადყოფს, რომ შერჩეული თემები და საკითხები სასკოლო საზოგადოების ინტერესს ითვალისწინებს და თანხვედრაშია საგნობრივ სტანდარტთან. კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის

წევრებთან თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის გათვალისწინებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთა ინტერესების, ასაკობრივი თავისებურებების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩეული შემოქმედებითი დავალებები,პრაქტიკული აქტივობები და არაფორმალური საგანმანათლებლო ელემენტები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დაკავშირებას მოსწავლეთა რეალურ გამოცდილებასთან, რაც ხელს უწყობს ცოდნის ეფექტურ ათვისებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.1.1.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებულია საგნობრივი კურიკულუმები.სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა, რომ სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პროცესის შეჯამება და გამოკვეთილი არსებული საჭიროებების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალი საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კურიკულუმების შექმნის პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრების ყველა წევრი და თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება კურიკულუმის შინაარსობრივი ნაწილის დახვეწა. კათედრებზე არის მაღალი თანამშრომლობრივი კულტურა, რაც საშუალებას იძლევა მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარონ მოსწავლეთა მიღწევები, საჭიროებები, ინტერესები, სურვილები და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი ასახონ კურიკულუმებში. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს განიხილავენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც ქმნის სივრცესა და შესაძლებლობას კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის.საგნობრივი მიმართულებების მიხედვით წარმოდგენილი პროექტები ქმნის მტკიცებულებით ბაზას, რომელიც ასახავს კურიკულუმის პრაქტიკულ, რეალურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

1. სკოლაში არსებული სამივე საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლოს საზოგადოების მიერ. კერძოდ, დამრიგებლები მშობელთა კრებაზე მშობლებს აცნობენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, კათედრის სხდომებზე პედაგოგები პერიოდულად განიხილავენ კურიკულუმების მუშაობის ეფექტიანობას, ასევე ცალკეული საგნის მასწავლებების სწავლის დაწყებამდე მოსწავლეებთან აკეთებენ კურიკულუმის შინაარსის ერთგვარ პრეზენტაციას .

ინდიკატორი 2.1.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
4. *პედსაბჭოს ოქმები;*
5. *საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;*
6. *ინდ. გეგმები;*
7. *მშობელთა კრების ოქმები*

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებზე დაყრდნობით შემიძლია დავადასტურო რომ შემუშავებული კურიკულუმები არის მოსწავლეზე ორიენტირებული. კურკულუმის ფარგლებში კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს და შემოქმედებით დავალებებს. **რჩევა: სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრის პედაგოგები <u>სამივე საფეხურზე</u> შეთანხმდენ კურიკულუმის ერთნაირ ჩარჩოზე .** **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, სამივე საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოს არის მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის

	შესწავლით და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **რჩევა: სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები (კურიკულუმში შემოქმედებითი დავალების იდეის სვეტში ჩაწერონ : რა უნდა შექმნას მოსწავლემ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას და რა საკითხზე). (პირობა და კრიტერიუმები განათავსონ დავალების ბარათში და მატრიცებში).** **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი თემები შეადგენს საფეხურის შესაბამის თემატური ბლოკით განსაზღვრულ შინაარსებს. თემატური ერთეულების ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები და დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას, რითაც მიიღწევა ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი **დაწყებითი,საბაზო** და **საშუალო** საფეხურის საგნობრივი (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. განსაკუთრებით მუსიკის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს რომ უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. **რჩევა: სასურველია, მუსიკასა და ხელოვნებაში სამივე საფეხურის პედაგოგები კურიკულუმების შედგენისას შეთანხმდნენ ერთიან ჩარჩოზე. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე.** **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი არის მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული. მასში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განვითარების თავისებურებანი, კურკულუმში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები კონსტრუქტივისტულ მიდგომას ეყრდნობა და ითვალისწინებს და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებითა და მასში გაწერილი კომპლექსური შინაარსის დავალებებითა და პროექტებით

	მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება და კომუნიკაციისა და შემოქმედებითი უნარები. გამოგზავნილ კურიკულუმებში სასურველია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნას შემდეგი **რჩევები:** • საკითხთა კლასტერი ქართულის კურიკულუმში საჭირო არაა, გრაფას საკმარისია ერქვას საკითხი; • სასურველია, ზოგიერთი კლასის კურიკულუმში გასწორდეს საკითხის, ტექსტები/კონტექსტმაგალითებისა და დავალების იდეის გრაფებში მოცემული ინფორმაცია. კერძოდ, **ტექსტები/კონტექსტმაგალითების გრაფაში** ჩაიწეროს თემაში დასამუშავებელი ძირითადი და დამატებითი ტექსტები თუ სხვა დამხმარე რესურსი, რასაც მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის ცნებებზე მუშაობისთვის -ვიდეო, დამხმარე ლიტერატურა, ილუსტრაცია და ა.შ. (რესურსების გრაფაში კი, სახელმძღვანელოსთან ერთად, მიეთითება, სად იძებნება ეს მასალა: ბმული, წიგნის/ალბომის სათაური და ა.შ.); **საკითხის გრაფაში** — შემოქმედებითი დავალების დასახელება (მაგ. წერილი პერსონაჟს, ანალიტიკური/არგუმენტირებული ესეს დაწერა, პრეზენტაციის მომზადება ამა და ამ საკითხზე...); რაც შეეხება **დავალების იდეას,** ამ გრაფაში ვწერთ მხოლოდ დავალების პირობას ზუსტად ისე, როგორც ვეუბნებით მოსწავლეს (მაგ. ამა და ამ ტექსტზე დაყრდნობით დაწერეთ ესა და ეს, მოამზადეთ პრეზენტაცია ამა და ამ საკითხზე ამა და ამ მასალის მიხედვით და ა.შ.). • ზეპირი მსჯელობა ვერ ჩაითვლება შემოქმედებით დავალებად, რადგან იგი რიგითი აქტივობა და თითქმის ყველა გაკვეთილის თანმხლები პროცესია; • ერთ-ერთი კლასის ნაბიჯებად გაწერილ შემოქმედებითი დავალების პირობა ბუნდოვანია (წარმოიდგინეთ ის გარემო,რომელშიც გიწევთ ცხოვრება და მიზნად გაქვს დასახული ამ გარემოს გაცნობა საზოგადოებისათვის .საჯაროდ აქვეყნებენ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებს , თუ რატომ არის ის ადგილი განსაკუთრებული და საყვარელი , სადაც ისინი ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. სწორედ იმ გარემოზეა საუბარი სხვადასხვა ლექსებსა თუ მოთხრობებში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ). ნაბიჯებიც არაა მთლად შესაბამისი, გაუგებარია, რის გარკვევას ეძღვნება საკვანძო შეკითხვები, დავალების განხორციელების პროცესში როგორ შემოდის აფხაზეთის თემა და ა.შ. • **სასურველია,** კათედრამ სამომავლოდ დახვეწოს, მკაფიო და გასაგები გახადოს მოსწავლისთვის შემოქმედებითი დავალების პირობა და შემოსაზღვროს თემატიკა: ერთ დავალებაში ყველაფერზე ვერ იმუშავებს კლასი. კათედრასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემოქმედებითი დავალებების დაგაგმვა-განხორციელებას, მიაჩნიათ, რომ ამ ტიპის მუშაობა საუკეთესოდ ემსახურება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. ჩვენს რჩევებს კი მომავალში კურიკულუმების შედგენისა თუ დავალებების დაგეგმვისას აუცილებლად გაითვალისწინებენ. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ეფექტურ გზას. იგი სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებით; სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს; კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებების იდეები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ფუნქციური პროდუქტის შექმნას და გრძელვადიანი მიზნების - მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას დაწყებით საფეხურზე, ოთხივე საგანში (ბუნებისმეტყველება,ქართული,მათემატიკა,მე და საზოგადოება) შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმების ჩარჩოებში ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. აღნიშნეს რომ ინტერვიუს დროს მიღებულ რჩევებს კურიკულუმთან დაკავშირებით შემდგომში აუცილებლად გაითვალისწინებენსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის. **რჩევა- სასურველია, ყველა საგნის კურიკულუმებში მოსწავლეებისთვის უფრო მკაფიოდ და ცხადად იქნეს გაწერილი ცნებები, თემები, საკითხები/საკითხთა კლასტერი, ყველა კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური**

	დავალების იდეა, პირობა. ესურსები იყოს უფრო მრავალფეროვანი. სასურველია, რიგ კურიკულუმში გასწორდეს საკითხის, ტექსტები/კონტექსტმაგალითებისა და დავალების იდეის გრაფებში მოცემული ინფორმაცია. ყურადღება გაამახვილონ ინფორმაციის შესაბამის გრაფებში სწორად განთავსებაზე. კერძოდ, სამივე საფეხურზე მოაწესრიგონ შემოქმედებითი დავალების იდეები. **ინდიკატორი 2.1.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეციერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, სამივე საფეხურზე, ჩანს კავშირი სტანდარტთან და სტანდარტით განსაზღვრულ სამინზე ცნებებთან. კურუკულუმებში ასახულია ძრითადი თემები საგნობრივი სტანდარტების მიხედვით და სამიზნე ცნებები. **რჩევა: სასურველია, <u>დაწყებითი საფეხურის I-IV კლასის</u> პედაგოგებმა ითანამშრომლონ V-VI კლასის ბუნებისმეტყველების პედაგოგებთან ბუნებისმეტყველების კულიკულუმების შედგენისას და გაიზიარონ მათი გამოცდილება ძირითადი თემებისა და სამიზნე ცნებების სვეტების შევსებისას.** **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმი ისეა აგებული, რომ თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად იფარება ყველა ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, მათ შორის პროექტებს (სამივე საფეხურზე). **რჩევა: სასურველია, სამივე საფეხურზე დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით, რაც მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეს ცნების მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში.** **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებთან. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას **რჩევა:კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული.** **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი საბაზო და საშუალო** საფეხურის ორივე საგნის კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში შემოქმედებითი დავალება განიხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს შუალედური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, ის ორიენტირებულია არა მხოლოდ აქტივირებაზე, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი **დაწყებითი** საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები (მუსკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები და **საბაზო** VII,VIII-IXკლასები აღნიშნული სტანდარტთან შესაბამისობა სწორად არის წარმოდგენილი და კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები არის გააზრებული . დაფარულია ყველა სავალდებულო თემატური ბლოკი, თემატური ბლოკის ფარგლებში სამიზნე ცნებები, საკითხი, კომპლექსური დავალების განხორციელების დროს ქვეცნებები. კონტექსტ მაგალითები. კურიკულუმები ისეა აგებული, რომ თემის ფარგლებში მეტ-ნაკლებად იფარება ყველა ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს, მათ შორის პროექტებს (სამივე საფეხურზე) **რჩევა: ორივე საგანში დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შედგენის დროს ყურადღება მიაქციეთ აკადემიური საათების რაოდენობას და მასთან მიმართებით განსაზღვრეთ თითოეულ კლასში თემების რაოდენობა.** **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	თითოეული კურიკულუმი აგებულია ისე, რომ დაიფაროს მეტ-ნაკლებად ყველა ცნება; კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები. **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია

	შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის **სამივე საფეხურზე** შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე,მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს, **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებს, რადგან სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე. დოკუმენტაციაში მკაფიოდ ჩანს საკითხთა თანმიმდევრული განვითარება (მაგალითად, ალგორითმების სწავლება იწყება II კლასში მარტივი ციკლებით და VI კლასში რთულ ოპერატორებსა და ცვლადებზე გადადის). სასწავლო თემები და დავალებების იდეები (მაგ: „შექმენი თამაში Scratch-ში“, „პერსონალური გამოფენა One Drive-ში“) მიმართულია პრიორიტეტული კომპეტენციების ციფრული წიგნიერების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისკენ. თითოეული კლასის კურიკულუმში ინტეგრირებული კომპლექსური დავალებები წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც მოწმდება საფეხურებრივი შედეგების მიღწევა. წარმოდგენილი „კონტექსტ-მაგალითები“ საშუალებას იძლევა, ახალი ცოდნა დაეფუძნოს მოსწავლის პირად გამოცდილებას, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სამივე კატეგორიის კონსტრუირებას. **ინდიკატორი 2.1.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე.

	წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და მეთოდური რეკომენდაციები და მათი შინაარსი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების შედეგების მიღწევას. შერჩეულია შუალედური დავალებები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი , სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმი ისეა აგებული, რომ თემის ფარგლებში მეტნაკლებად იფარება ყველა ცნება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებებს. **რჩევა: სასურველია, ოთხივე საგანში დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები/ქვეცნებები თითოეულ საკითხთან მიმართებით.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ვადასტურებ ,რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რესურსები წარმოდგენილია სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე რესურსები (მაგალითად: რუკა). ასევე წარმოდგენილია ელექტრონული რესურსები, ძირითადად Youtobe. დასახელებულ რესურსებში იკვეთება მიზნობრიობა. **რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე ელექტრონულ რესურსებს სახელწოდებებიც ეწეროს კურიკულუმში.** **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოებია. ამასთანავე კათედრას წამოდგენილი აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები, რაც არსებით როლს ასრულებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, ეს კი ეხმარება მოსწავლეს უნარების განვითარებასა და მოტივაციის შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და ვალიდირებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი (I-IVკლასების)/ **საბაზო საფეხურის VII,VIII-,IX საშუალო X და XI** მუსიკა და სახვითიდა გამოყენებითი ხელოვნება, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცეს ხდის მეტად საინტერესოსა და მოქნილს.სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება, რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოთ აღნიშნული რესურსები ზირითადად სრულადაა ასახული დაწყებითი საფეხურის **მუსიკის** საგანმათლებლო პროგრამის დაწყებითი კლასების კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძვანელოებს, მასალას იუთუბ არხიდან, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; საჭირო რესურსების შესახებ კათედრა წინასწარ თანხმდება. პედაგოგები ახალისებენ მოსწავლეებს, რომ თავადაც შექმნან სასწავლო რესურსები. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	**სამივე საფეხურზე** სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ სეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით **.ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შერჩეული სასწავლო რესურსები პირდაპირ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში რესურსები დაჯგუფებულია მიზნობრივად: სწავლის პროცესში გამოყენებულია საერთაშორისო და ლოკალური პლატფორმები (Scratch, Code.org, school.emis.ge, "ვსწავლობთ თამაშით"), რაც ხელს უწყობს ალგორითმული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას პრაქტიკული გზით. ინტეგრირება საშუალებას აძლევს მოსწავლეს, დაეუფლოს ინფორმაციის დამუშავებას, შენახვასა და გაზიარებას რეალურ ციფრულ გარემოში. პირობითი ნიშნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას

	გამოყენებულია თვალსაჩინოებები, მაკეტები და გრაფიკული რედაქტორები (Paint 3D), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე კონსტრუქტივისტული მიდგომის (კეთებით სწავლება) განხორციელებისთვის. **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დოკუმენტაციის შესწავლისას დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც გამოიკვეთა დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **რჩევა: სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“. სასურველია დამატებითი რესურსების უფრო დეტალური და კონკრეტული ჩამონათვალის შეტანა .** **ინდიკატორი 2.1.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებისა დაგეგმვისას. გათვალიწინებული დიფერენცირებული მიდგომები. ამას ადასტურებს, როგორც კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებისა და შემაჯამებელის ანალიზის ნიმუშები, ასევე წარმოდგენილი ადაპტირებული დავალების ნიმუში ბუნებისმეტყველებაში. **ინდიკატორი 2.1.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში) მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლის ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	თვითშფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესის და მოსწავლეების მიღწევების აღწერა იძლევა საფუძველს რომ კათედრა სამივე საფეხურზე ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას,თუმცა კურიკულუმებში ნაწილობრივ აისახება ყოველივე. **რჩევა: სასურველია კურიკულუმებში მეტად ჩანდეს თქვენ მიერ დაგეგმილი სწავლა-სწავლების პროცესში გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.(მაგალითად დავალების პირობაში)** **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს შეეთავაზებათ კონკრეტული დავალების ფარგლებში განსხვავებული მიდგომა, სტრატეგიებისა თუ რესურსების თვალსაზრისით, ამდენად შესაძლოა მასწავლებელმა დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლისათვის, რასაც ხელს უწყობს ის, რომ სკოლა მცირეკონტინგენტიანია და, რეალურად, მასწავლებლები ინდივიდუალურად მუშაობენ თითქმის ყველა მოსწავლესთან. რამდენადაც სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდ.გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს

	ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, და მოდიფიცირებული დავალებები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმების ანალიზი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი აგებულია ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე. დოკუმენტაციაში გამოკვეთილია შემდეგი მიდგომები:კურიკულუმით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები იძლევა მათი მოდიფიცირების შესაძლებლობას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, ვიზუალური პროგრამირების (Scratch) გამოყენება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შესთავაზოს მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის ალგორითმები, მარტივი ანიმაციიდან რთულ, მრავალდონიან თამაშებამდე. სწავლის პროცესში გამოყენებულია როგორც ტექსტური, ისე ვიზუალური და აუდიო რესურსები (მაგ. „ვსწავლობთ თამაშით“, ვიდეო გაკვეთილები, Paint 3D), რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (ვიზუალური, კინესთეტიკური) მასალის ხელმისაწვდომობას. კურიკულუმი ითვალისწინებს „ხარაჩოს“ პრინციპს, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ მუშაობას საკუთარი ტემპით. დავალებების იდეები (მაგ. „შექმენი შენი სამუშაო დღის ციკლი“, „პერსონალური გამოფენა“) მორგებულია მოსწავლეთა პირად კონტექსტსა და ინტერესებზე, რაც ზრდის მათ მოტივაციას და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ყველა მოსწავლის ჩართულობას.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ეფუძნება დიფერენცირებულ მიდგომებს. შერჩეული მეთოდოლოგია და რესურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო გარემო მოარგოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და წინარე ცოდნას, რაც უზრუნველყოფს თანაბარ წვდომას ხარისხიან განათლებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები

	ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს შემოქმედებითი ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი 2.1.2.4 . შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), რაც ადასტურებს, რომ სამივე საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე სხვადასხვა აქტივობის შეფასების რუბრიკები: მაგ: პრეზენტაციის, დისკუსიის, რეფერატის და ა.შ. საგან ისტორიაში აქტიურად აქვს სკოლას წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც უშუალოდ საკითხსა და ცნებაზეა ორიენტირებული. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. **რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევისინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით.** **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.
უცხოური ენები	ვიზიტის პერიოდში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის ასახული, თუ რომელი სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრამ წარმოადგინა ზოგადი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები,რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი **დაწყებით** საფეხურზე განმავითარებელი შეფასებისთვის ხშირად გამოიყენებენ ისეთ საშუალებებს, როგორიცაა დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება

	და ურთიერთშეფასება ასევე თითოეულ მოსწავლესთვის ელექტრონულ ჟურნალში ასახავენ განმავითარებელი შეფასების კომენტარს, რომელთანაც წვდომა მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმოადგენელს აქვს. **საბაზო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში წარმოდგენილია რამდენიმე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ასევე სკოლას აქვს წარმოდგენილი ვერიფიკაციის დოკუმენტი სადაც აღნიშნულია რომ სკოლა კათედრებზე შეიმუშავებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ რუბრიკებს. **საშუალო** საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში კათედრას აქვს წარმოდგენილი პროექტის შეფასების რუბრილები. ასევე საშუალო საფეხურზე წარმოდგენილია მუსიკის მე-10კლაისის და ხელოვნების მე- 11 კლასისი მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტიკური შეფასება. **რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით.** **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების სამ კომპონენტიან მოდელს (საკლასო დავალება, საშინაო დავალება, შემაჯამებელი), სხვადასხვა აქტივობის რუბრიკებს.ასევე განმავითარებელ შეფასებებს. წარმოდგენილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, შეფასების რუბრიკებში, მეტ-ნაკლებად ასახულია მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, კათედრას შეუმუშავებია ასევე ზოგადი რუბრიკებიც, მაგ.,პრეზენტაციის, დისკუსიისა და სხვ. **კათედრას მიეცა რჩევა, მეტად დახვეწონ დაგეგმილ შემოქმედებით დავალებებში პირობები და შეფასების კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს შეფასების რუბრიკების მკაფიოდ და ადეკვატურად ჩამოყალიბებებას.** **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ

	კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, არის მრავალმხრივი და განვითარებაზე ორიენტირებული. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ვალიდურად მიემართება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გათავისების პროცესს. განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები კი მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ობიექტურ, გამჭვირვალე და სამართლიან გაზომვას. შეფასების პროცესი ხელს უწყობს ცოდნის სამივე კატეგორიის (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული) რეალიზებას და სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **რჩევა: ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კიდევ უფრო გააქტიურდეს ციფრული პორტფოლიოების წარმოების პრაქტიკა (მაგალითად, OneDrive-ის ან Sway-ს ბაზაზე). ეს საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, თავადვე მოახდინონ საკუთარი პროგრესის ვიზუალიზაცია და დინამიკაში დაინახონ საკუთარი განვითარება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს განმავითარებელი შეფასების ეფექტურობას.** **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე შემოქმედებითი ბუნების დავალებების მიხედვით გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა. მიზანშეწონილია ამ რუბრიკების კონკრეტულ საკითხებთან, თემებთან ან დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. რათა შეფასების კრიტერიუმები უფრო მკაფიოდ ასახავდეს კონკრეტული სასწავლო თემის ან დავალების ფარგლებში მისაღწევ შედეგებს. **რჩევა- სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.** **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *განმავითარებელი და განმსაზღვრელი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები;*
4. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026წ;*
5. *საგნობრივი და სასკოლო პროექტები;*
6. *ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა მათემატიკა-ქართული ენა და ლიტერატურა*
7. *პროექტები: ,, არა ბულინგს", ,,ადამიანის უფლებები", "შევისწავლოთ ჩვენი მხარე";*
8. *სასწავლო პროექტის გეგმები და ანგარიშები;*
9. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;*
10. *შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შეფასების რუბრიკები;*
11. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
12. *დიაგნოსტიკური წერის ანგარიში;*
13. *დამატებითი რესურსების ბანკი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ასევე მოსწავლეთა ნამუშევრები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იგეგმება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობასა და მიზნობრივობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოურ ენებში აქტივობები დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების და საკითხების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებები და პროექტული ტიპის აქტივობები სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილ **დაწყებითი** საფეხურის ხელოვნება I-VI) და **საბაზო** საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, თემებს, შორის. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ჩარჩო კურიკულუმში სადაც შემოქმეებითი დავალება ხორციელდება, სწორად არის წარმოდგენილი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელიც აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. **საშუალო** საფეხურის კურიკულუმში ნათლად იკითხება,რომ პროექტული სწავლების ფარგლებში სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და მიზნებს. ინტერვიუზე კათედრის წევრებმა ისაუბრეს პროექტულ სწავლებაზე, განხორციელებულ პროექტებზე. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე

	შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკარტოთან შესაბამისობაშია,შესაბამისად სასწავლო პროცესი ხორციელდება დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და სკოლაში განხორციელებული პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება.პროექტული სწავლებისას დავალებები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს თავისი ცოდნისა და ძალების მობილიზება და დავალება წარმოადგინოს შემოქმედებითი პროდუქტის სახით. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ტექნოლოგიები	პედაგოგთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნების დაცვით. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი თანმიმდევრულად მიჰყვება კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ გეგმას. თითოეული კლასისთვის შერჩეული საკითხები (მაგ: პირობითი ნიშნები II კლასში, ვიზუალური პროგრამირება IV კლასებში და რთული ალგორითმები V-VI კლასებში) ლოგიკურ ჯაჭვს ქმნის სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების ჩამოსაყალიბებლად.

	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია კომპლექსურ დავალებებზე (მაგ: „ჩემი პირველი ანიმაცია Scratch-ში“, „საოცნებო უბნის ილუსტრაცია“), რაც უზრუნველყოფს ცოდნის პრაქტიკულ ტრანსფერს. **რჩევა: მასწავლებელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიებს ამჟამად ასწავლის მათემატიკის პედაგოგი. მიუხედავად მისი ძალისხმევისა, მიზანშეწონილია სკოლამ იზრუნოს ტექნოლოგიების მიმართულებით სერტიფიცირებული კადრის მოზიდვაზე ან არსებული კადრების მიზნობრივ გადამზადებაზე. კვალიფიციური სპეციალისტის მუდმივი ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მდგრადობისა და მოსწავლეთა ტექნოლოგიური უნარების მაღალ დონეზე განვითარებისთვის.** **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. ამ პროცესში მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე,რაც გამოიხატება გაკვეთილების დაწყვილება გადანაცვლებაში ,რომელთა აღნუსხვა ხდება შეცვლილი და გაცდენილი გაკვეთილების ჟურნალში . დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი ადაპტირდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესებისა და მდგომარეობის მიხედვით. პედაგოგები აქტიურად ცვლიან დაგეგმილ აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმით საკუთარი აზრისა და ცოდნის გამოხატვისა, რაც ზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლა ითვალისწინებს მასწავლებლების გამოცდილებასა და სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს, რაც უწყობს ხელს გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას და სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ადასტურებს რომ სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრული შეფასების მიზანი და შეფასების

	კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებისკენ. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებისა და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუშები ადასტურებს რომ სამივე საფეხურზე შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სანდო. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს , რომ შეფასების ფორმებს აცნობენ მშობლებს მშობელთა კრებაზე წლის დასაწყისში. შეფასების რუბრაკას იცნობს მოსწავლე. **რჩევა: სასურველია,<u>სამივე საფეხურზე</u> კონკრეტული თემისთვის მომზადდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.** **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ინდიკატორში წარმოდგენილ მოთხოვნებს. სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ გადმოგზავნი დოკუმენტაციაში, სადაც არის წარმოდგენილი ორივე საგნის **დაწყებითი** და **საბაზო** საფეხურის ზოგადი განმავითარებელი შეფასების და განმსაზღვრელი რუბრიკები, თვითშფასების დოკუმენტი და ვერიფიკაციის დოკუმენტი,ასევე მასწავლებლებთან საუბრის დროს ნათალად ჩანს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან შეფასების რებურიკებს, ასევე მათ ინდივიდუალურად ეძლევათ განმავითარებელი შეფასების დროს კომენტარები რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე.

	საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები და სადიაგნოსტიკო შფასებების საფუძველზე შეიძლება ითქვას,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. როგორც ზემოთ აღინიშნა, შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობს მოსწავლე, ანუ მან წინასწარ იცის, რას და როგორ შეუფასებენ **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის მაგალითზე დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის პრინციპებს. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით: შეფასების სისტემა პირდაპირ ზომავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს. წარმოდგენილი რუბრიკები მკაფიოდ მიემართება კონკრეტულ სამიზნე ცნებებს - „ინფორმაცია“ და „ალგორითმი“. შეფასების კრიტერიუმები ვალიდურია, რადგან ისინი აფასებენ ზუსტად იმ უნარ-ჩვევებს, რაც კომპლექსური დავალების მიზნით იყო განსაზღვრული. შეფასების რუბრიკები აჩვენებს რომ მასწავლებელი იყენებს კონსტრუქტივისტულ უკუკავშირს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში ჩამოყალიბებული შეფასების პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. სისტემა

	არის გამჭვირვალე და ობიექტური, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითების კათედრის მიერ წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური,გამჭვირვალე,სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი 2.2.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ,რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2025 წლის 15 სექტემბრის №15 ბრძანებით, სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლაში შეფასების პროცესის სანდოობის, ვალიდურობის, ობიექტურობის, გამჭვირვალობის და სამართლიანობის შემოწმება და დადასტურება. დოკუმენტის მიხედვით, ვერიფიკაცია ხორციელდება სწავლების ყველა საფეხურზე და მიზნად ისახავს შიდა შეფასების ჩატარებას, მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენას სასკოლო კურიკულუმთან. შერჩეულია ვერიფიკაციის მეთოდები, დეტალურად არის აღწერილი ამ პროცესის ეტაპები და დასახელებულია შეფასების განმახორციელებელი რგოლები. ვერიფიკაციის პროცესს განახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი კათედრების მიხედვით ,ამ ჯგუფში შედის საგნის კომპეტენციის მქონე პირი,რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტის /მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება ,ასევე ეს პროცესი შესაძლებელია განახორციელოს დირექტორმა , შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთადასწრების,შეფასების რუბრიკების შემუშვების ,შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე) .დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა შემაჯამებელი დავალებებისა და სადიაგნოსტიკო წერების ვერიფიკაციის პრაქტიკა, რაც მიუთითებს, რომ შეფასების პროცესები ხორციელდება დადგენილი წესისა და შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.

ინდიკტორი 2.2.1.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის მოწესრიგებული სისტემა. დაცულია შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს შეფასების დოკუმენტაციის ორგანიზებას, არქივირებასა და ხელმისაწვდომობას.
სკოლა უზრუნველყოფს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მასალების (შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ანალიზები, რეფლექსიები) სისტემატურ დაგროვებასა და დაცვას. აღნიშნული დოკუმენტაცია ინახება სტრუქტურირებულად, რაც შესაძლებელს ხდის საჭიროების შემთხვევაში მათი მარტივად მოძიებასა და გამოყენებას.დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა ხორციელდება განსაზღვრული ვადების დაცვით, მათ შორის არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, მონიტორინგისა და შემდგომი ანალიზის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი ;*
4. *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026;*
5. *შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზის ფორმები;*
6. *შესრულებული შემოქმედებითი დავალებები;*
7. *ადაპტირებული დავალების ნიმუში ბუნებიერმეტყველებაში;*
8. *დიაგნოსტიკური წერის ამსახველი დოკუმენტაცია;*
9. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები;*
10. *პედაგოგის რეფლექსია. კოლეგა პედაგოგის მიერ გაკვეთილის შეფასება;*
11. *საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია ;*
12. *გაკვეთილზე დასწრების დამადასტურებელი მასალა ;*
13. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაციები ;*
14. *ინდგეგმები;*
15. *კათედრების ოქმები;*
16. *საგნობრივი კათედრების სამუშაო შეხვედრის ოქმები ;*
17. *საგნობრივი კათედრების სემესტრული ანგარიშები;*
18. *სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;*
19. *განხორციელებული ვერფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე დამატებითი რესურსები, რომლების ასახულია კურუკულუმშიც. დახმარე რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას. **ინდიკატორი 2.2.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრუნული რესურსებიც, აუდიო და ვიდეო მასალებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ტელესკოლის რესურსს. ასევე იყენებენ რესურსად ცოცხალ გარემოს. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და დამხმარე სასწავლო რესურსები როგორც კურიკულუმში, ასევე დამატებითი დოკუმენტის სახით. რესურსების გამოყენება დასტურდება საკლასო თუ სასკოლო აქტივობებთან მიმართებით , მათ შორის სასწავლო პროექტიების განხორციელებისას როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენაში. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკასა და ხელოვნებაში სკოლის მიერ გამოყენებული სამივე საფეხურზე ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები შეესაბამება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში. კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს საფეხურების ფარგლებში სტანდარტებით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევას. სასკოლო კურიკულუმებში ასახულია სასწავლო რესურსების გამოყენება. ეს რესურსები ყველა კლასისთვის ძირიდათად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებია. სკოლა ასევე იყენებს დამხმარე სასწავლო რესურსს, კურიკულუმში ჩაშენებულია ელექტრუნული რესურსებიც,

	აუდიო და ვიდეო მასალებს, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ ტელესკოლის რესურსს. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს და სხვ. გამოიყენება პედაგოგთა მიერ შექმნილი, როგორც ელექტრონული , ასევე მატერიალური სახის რესურსი. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სრულად არის უზრუნველყოფილი კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსებით. სწავლება ეფუძნება რესურსებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც დასტურდება შემდეგით: აქტიურად გამოიყენება school.emis.ge და Scratch .ინტეგრირებულია მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული რესურსები: Paint 3D, „ვსწავლობთ თამაშით“, Code.org და Microsoft Office 365 .მასწავლებელი იყენებს საკუთარ ციფრულ ნიმუშებსა და მულტიმედიურ რესურსებს კომპლექსური დავალებების მხარდასაჭერად.გამოყენებული რესურსები ვალიდურია, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალ ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. **რჩევა - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები** **ინდიკატორი 2.2.2.1.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. სკოლა იყენებს როგორც სკოლაში არსებულ მატერიალურ რესურსებს ასევე დამხმარე ელექტრონულ რესურსებსაც. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. საზოგადობერივი მეცნიერებების კათედრის მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და კათედრის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგინდება, რომ კათედრა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას და ასახავს კათედრის ოქმებში. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	**დაწყებითი** I-IVკლასების,**საბაზო და საშუალო** საფეხურის (მუსიკა და ხელოვნება), საგნობრივ კათედრებზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს მაწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათედრაზე რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო კურიკულუმის მიზნებთან შესაბამისობის პრინციპით. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული . **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე რესურსების შერჩევა და ვალიდაცია ხორციელდება შინაარსობრივი და ტექნიკური გამართულობის პრინციპით. პროცესის ანალიზი აჩვენებს შემდეგს: კურიკულუმში ინტეგრირებული დამხმარე პლატფორმები (მაგ: Code.org, Paint 3D) ვალიდირებულია მასწავლებლის მიერ მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. მასწავლებელი თავად ქმნის და იყენებს დამხმარე ვიზუალურ მასალებს. ეს რესურსები მორგებულია მოსწავლეთა ტექნოლოგიურ მზაობასა და სკოლის კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას. საგნობრივ კათედრაზე ხდება ციფრული რესურსების (ბმულები, საგანმანათლებლო პროგრამები) გაზიარება და მათი ეფექტურობის ანალიზი. აღნიშნული დასტურდება კურიკულუმებში მითითებული რესურსების მრავალფეროვნებითა და მასწავლებელთან ინტერვიუს დროს, რაც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **რჩევა: სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, სკოლამ/კათედრამ შექმნას „ციფრული რესურსების ვალიდაციის ელექტრონული ჟურნალი/ბაზა“. მასში მასწავლებლები ასახავენ გამოყენებულ ონლაინ პლატფორმების, პროგრამებისა თუ ბმულების მოკლე ტექნიკურ და შინაარსობრივ შეფასებას (მაგ: ინტერნეტის საჭიროება, რეგისტრაციის მოთხოვნა, სირთულის დონე).**

	ეს დაეხმარება სკოლას, დროულად მოახდინოს მოძველებული ან ტექნიკურად შეუსაბამო ციფრული რესურსების იდენტიფიცირება და ჩანაცვლება ახალი, უფრო ეფექტური ინსტრუმენტებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სხვა მატერიალური რესურსები, რაც შესაძლებლობას იძლევა გახორციელდეს კურიკულუმით. ვადასტურებ, რომ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც ცხადყოფს წარმოდგენილი მასალა და ადასტურებს მასწავლებელთა ინტერვიუები. სასკოლო გარემო , სახელმძღვანელოები, რესურსები და სასწავლო სივრცე, შესაბამისობაშია კლასში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვას. მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით დაგეგმილი სასწავლო აქტივობები, პროექტები ხელს უწყობს კურიკულუმით დასახული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უცხოურ ენებში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, შესაბამისი სასკოლო სივრცით, ოთახები სასკოლო აქტივობებისათვის აუცილებელი რესურსებით არის აღჭურვილი. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები.პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში შესაძლებელია პრაქტიკული აქტივობების ჩატარება მუსიკასა და ხელოვნებაში, მასწავლებლები სამივე საფეხურის გაკვეთილებზე იყენებენ ვიდეო რესურსებს,მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	<u>**სამივე საფეხურზე**</u> ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითახავი თუ ციფრული მასალა, ასევე- ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის

	განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა გარანტირებულია ადეკვატური მატერიალური და ციფრული რესურსებით. ინტერვიუების დროს ხაზი გაესვა ვირტუალური ლაბორატორიებისა და სიმულაციების (მაგ: Code.org) აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლები ეფექტურად იყენებენ ვიდეო ექსპერიმენტებსა და ციფრულ სადემონსტრაციო მასალებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალგორითმული აზროვნებისა და კომპიუტერის აგებულების სწავლებისას.მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ სკოლის ტექნიკური ბაზა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ შემოქმედებითი პროექტების (მაგ: ანიმაციების შექმნა, პრეზენტაციების მომზადება) განსახორციელებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას „კეთებით სწავლების“ პრინციპით. **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. **რჩევა: სასურველია სკოლამ კიდევ უფრო მეტად ასახოს იმ მრავალფეროვან რესურსთა ჩამონათვალი, რომლებსაც იყენებენ სასწავლო პროცესში (რაც დაადასტურეს ინტერვიუს დრო)** **ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი: სულ 19 პედაგოგი ,აქედან 1 მენტორი, 4 წამყვანი , 1 მაძიებელი ,და 13 უფროსი მასწავლებლის სტატუსით ,მათ შორის

1 სპეცმასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები და შეფასების სქემები; გაკვეთილის გეგმები.*
4. *შემოქმედებითი დავალებების ბარათები მშობლებისთვის ;*
5. *პედაგოგის რეფლექსია;*
6. *შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები;*
7. *დამატებითი რესურსების ბანკი;*
8. *კათედრის სამოქმედო გეგმა;*
9. *საგნობრივი პროექტები, პრეზენტაციები ;*
10. *კათედრის ოქმები;*
11. *რესურსების რეესტრი და ფოტოაღწერა;*
12. *შემაჯამებელი დავალების ანალიზი;*
13. *შესრულებული შემოქმედებითი დავალების ფოტომასალა;*
14. *მასწავლებელთა პირადი საქმეები ;*
15. *მასწავლებელთა ხელშეკრულებები;*
16. *სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები;*
17. *საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიის ამსახველი ფოტო მასალა*
18. *სტემ პროექტი: "ავტომეტიზირებული მორწყვის სისტემა"*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას .აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია, თუ როგორ, რა აქტივობებითა და საშუალებებით განხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად , თითოეული პედაგოგი ვალდებულია წარუდგინოს კათედრას კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, ხოლო კათედრის ხელმძღვანელი ვალდებულია შეატყობინოს სკოლის ადმინისტრაციას ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომელიც განხორციელდა კურიკულუმში წინა წლის სასწავლო პროცესის შესწავლის საფუძველზე.სკოლას ეს პროცესი წარმოდგენილი აქვს კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. გადმოგზავნილი მასალებისა და ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სწავლება მიმდინარეობს წლის დასაწყისში შემუშავებული სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად.სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულად ხორციელდება კათედრების დონეზე კურიკულუმის ანალიზისა და ურთიერთდასწრების გზით.ამასთან, სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები ურთიერთდასწრებებისა და სასწავლო პროცესის ერთობლივი განხილვის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

კურიკულუმის მონიტორინგისა და მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების მიზნით კათედრის წევრები ინტენსიურად იკრიბებიან, ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლების დაკვირვების შედეგები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ მოხდეს აღმოჩენილი

გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.3.1.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის ადმინისტრაცია ,რომელიც თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირით გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება პროცესების შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის. პედაგოგებს ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად აქვთ ინფორმაციული ტიპის მხარდაჭერა ნებისმიერი აქტივობების შესახებ ,რაც მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი 2.3.1.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *საგნობრივი კურიკულუმები;*
3. *ვერიფიკაციის წესი ;*
4. *მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესიის თვითშეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
5. *მასწავლებელთა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების შეფასების ფორმები;*
6. *პედადგოგთა სემესტრული ანგარიშები ;*
7. *საგნობრივი კათედრის ოქმები;*
8. *საგნობრივი კათედრის ანგარიშები;*
9. *ხარისხის მართვის დებულება ;*
10. *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა ;*
11. *ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია ;*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური-სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები . ამ აქტივობებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა მრავალმხრივად შეფასდეს და გამოიკვეთოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მრავალმხრივობას და ადასტურებს, რომ შეფასება ეფუძნება განსხვავებულ და ურთიერთშემავსებელ წყაროებს, რაც ზრდის მისი შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას.

ინდიკატორი 2.3.2.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ექსპერტების დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ და მრავალმხრივ შეფასებას.

შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური საჭიროებები, წინარე ცოდნა, სწავლის ტემპი და ინტერესები. ასევე, შეფასება ხორციელდება განსხვავებულ სასწავლო გარემოებსა და ფორმატებში — საკლასო აქტივობებში, პროექტებზე მუშაობის პროცესში, პრაქტიკულ დავალებებში და არაფორმალური სწავლების ელემენტების ფარგლებში.

ექსპერტთა დასკვნებში იკვეთება, რომ მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ადაპტირებულ დავალებებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას და მათი შესაძლებლობების შესაბამის შეფასებას. შეფასების პროცესში ასევე გათვალისწინებულია რეალური ცხოვრების კონტექსტები, რაც ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და ფუნქციური უნარების განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ექსპერტების დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების სრულყოფილ და ობიექტურ სურათს.

მასწავლებლები სისტემურად იყენებენ როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის: დაკვირვებას, საკლასო აქტივობების შეფასებას, წერით და ზეპირ დავალებებს, პროექტებს, პრეზენტაციებს, ტესტირებას, ასევე თვითშეფასებისა და თანატოლთა

შეფასების ინსტრუმენტებს. აღნიშნული მეთოდების კომბინაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ცოდნა, ისე უნარები და დამოკიდებულებები.წარმოდგენლი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ ცხადყოფს ,რომ შეგროვებული მონაცემები რეგულარულად მუშავდება და ანალიზდება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის დინამიკის გამოვლენას და სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეფექტიანობას.აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ შეფასებისას გამოყენებული მონაცემთა შეგროვების მეთოდები მრავალფეროვანია, ურთიერთშემავსებელი და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარების სრულყოფილ შეფასებაზე.

ინდიკატორი 2.3.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს .

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ექსპერტების დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებასათან ერთად და ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები.ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ შეფასება სკოლაში არის მოსწავლეზე ორიენტირებული, სამართლიანი და ეფუძნება მრავალფეროვანი ფაქტორების გათვალისწინებას, რაც უზრუნველყოფს მისი შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას.

ინდიკატორი 2.3.2.4. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგნობრივი კურიკულუმები;*
2. *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
3. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
4. *გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების მასალები/ოქმები;*
5. *შემოქმედებითი დავალების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრები;*
6. *მოსწავლეების ისგ და სამუშაო ჯგუფის ოქმები;*
7. *მშობელთა კრების ოქმები;*
8. *საგნობრივი კათედრის ოქმები;*
9. *შეფასების ვერიფიკაციის წესი;*
10. *საგნობრივი პროექტები და კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლას შექმნილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მხარდაჭერის პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლაში კურიკულუმის განხორციელებისა და შეფასების პროცესზე დაყრდნობით სისტემურად ყალიბდება მისი განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი.მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს როგორც ძლიერი მხარეები, ასევე განვითარების საჭიროებები, რაც საფუძვლად ედება შესაბამისი რეკომენდაციების ფორმირებას. აღნიშნული რეკომენდაციები ეხება როგორც სწავლების სტრატეგიების გაუმჯობესებას, ისე რესურსების გამდიდრებას, შეფასების პრაქტიკის დახვეწასა და დიფერენცირებული მიდგომების გაძლიერებას.ასევე, იკვეთება, რომ პედაგოგები აქტიურად იყენებენ შეფასების შედეგებს რეფლექსიისთვის და მონაწილეობენ რეკომენდაციების შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას. აღნიშნული პროცესი არის კოლეგიალური და ეფუძნება თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას.

ინდიკატორი 2.4.1.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს წარმოდგენილი დოკუმენტაციისა ანალიზი ცხადყოფს, რომ კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება წინარე გამოცდილების, ასევე მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მიღებული მონაცემების სისტემური ანალიზის საფუძველზე.
სკოლაში დაგროვილი პრაქტიკა, განხორციელებული სასწავლო პროცესის შედეგები და შეფასების ანალიზები გამოიყენება კურიკულუმის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც ძლიერი მხარეების შენარჩუნებასა და განვითარებას, ასევე გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებასა და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვას.
ექსპერტთა დასკვნებში იკვეთება, რომ პედაგოგები აქტიურად ახორციელებენ რეფლექსიას საკუთარ პრაქტიკაზე, განიხილავენ შეფასების შედეგებს და მათზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის შინაარსისა და სწავლების სტრატეგიების ადაპტირებას.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას, მის შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და ადასტურებს, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება როგორც წინარე გამოცდილებას, ისე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2.შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
2. *ერთლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წწ;*
3. *საგნობრივი კურიკულუმები;*
4. *საგნობრივი კათედრის ოქმები;*
5. *მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები;*
6. *მასწავლებელთა თვითრეფლექსიები;*
7. *მშობელთა კრების ოქმები .*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი : 12.06.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:/ნინო შიუკაშვილი?

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი :/ლელა ეუაშვილი/

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი: /ირინე შარაბიძე/

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი :/გიორგი ბერიძე /

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტი : /ნინო აბესაძე/

სახელმწიფო ენის ექსპერტი:/მარინე ხუციშვილი/

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი:/თამარ ჩიმაკაძე/

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობივი ექსპერტი : /ეკა კობიაშვილი /

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი: /ნინო თამარაშვილი/

კომპოუტერული ტექნოლოგიების საგნობივი ექსპერტი :/თეა ხუროშვილი/

დაწყებითი საფეხური ექსპერტი:/ ეკატერინე კვირკველია /